ალია

N98/3028/ 27-30 ივნისი 2014 წ. ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA .GE

# ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებში შეცდომები ყოფილა





„ვისაც ქართული სისხლი გვაქვს, კაცები ვართ... ვისაც შეგვიძლია მტრის წინაშე თავაწეული დგომა — არ ვიჩოქებთ და ვინც რეალურად ვხედავთ დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას...“

# ყველანი საინიციატივო ჯგუფში!!! შეკრება 8 ივლისს!!!

## არის თუ არა რეალური „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა და ვინ გაერთიანდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით?



ლაშა ამირეჯიბი:

## „ყველას დედა მოვტ...ან, ვისაც სიმართლე ეზიზღება, ვისაც სიმართლე სძულს... გინდა ძველ ხელისუფლებაში იყოს, გინდა — ახალ ხელისუფლებაში!“





## არჩევნების გაყალბებას ერთი მეთოდიც შეემატა

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – ალვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# სტრასბურგი საქართველოს გამო რუსეთს არ დააჯარიმებსო...

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შვიდწლიანი საქმის განხილვა დასასრულს უახლოვდება. საქმე ეხება 2006 წელს ეთნიკურ ნიადაგზე ქართველთა მასობრივ დეპორტაციას რუსეთიდან. რუსეთის ფედერაციამ ასობით ქართველს ქვეყნის ტერიტორია მას შემდეგ დაატოვებინა, რაც საქართველოში ჯაშუშობის ბრალდებით რამდენიმე რუსი ოფიცერი დააკავეს. სამ ივლისს ცნობილი გახდება, მოუწევს თუ არა რუსეთს საქართველოსთვის კომპენსაციის გადახდა. რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სტრასბურგის სასამართლო და რამდენის გადახდა მოუწევს რუსეთს საქართველოსთვის?**

**„ალიას“ საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, ლია მუხაშავრია ესაუბრება:**

– უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ჩვენს სასარგებლოდ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ამ პროცესზე გამოდის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომ ერთი სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა კონვენცია მეორეს მიმართ, როდესაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მოქალაქეების უფლებათა უხეშ დარღვევას. აქ დავა არის იმაზე, რომ დეპორტაცია იყო უკანონო და დაირღვა ადამიანების უფლება.



**— სტატისტიკურად რა მონაცემები არსებობს მსგავსი დავების შესახებ? რა გადაწყვეტილება გამოუტანია ანალოგიური საქმეების დროს ევროსასამართლოს?**

– მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი საქმე ევროსასამართლოში იყო მხოლოდ ხუთი. რაც შეეხება გადაწყვეტილებას, სასამართლომ დარღვევა აღიარა ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორის მიმართ. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც უნდა ველოდოთ, რომ დაფიქსირდება რუსეთის მხრიდან დარღვევა საქართველოს მოქალაქეთა მიმართ.

**— საკომპენსაციო თანხა რამდენი შეიძლება იყოს, სახელმწიფოს და იმ მოქალაქეებისთვის, ვინც სტრასბურგში იჩივლა, მათი უფლებების დარღვევისთვის?**

– წარმოდგენა არ მაქვს, ვინაიდან თავიდანვე კონკრეტული თანხა არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ჩვენ ხომ არ გვაქვს ინფორმაცია რა დოკუმენტაცია წარადგინა ქართულმა მხარემ სასამართლოში და რა იქნა მოთხოვნილი, შესაბამისად, ამაზე ვერ გიპასუხებთ. მოსამართლე გამოიტანს ამაზე გადაწყვეტილებას.

**— რა ვადებში უნდა გადაიხადოს რუსეთმა თანხა?**

– სამი თვის ვადით განისაზღვრება კომპენსაციის გადახდა.

**— თუკი არ გადაიხდის, მაშინ რა ხდება?**

– გამორიცხულია რომ არ გადაიხადოს. თუმცა კომპენსაცია შესაძლოა არც იყოს დაკისრებული გადასახდელად. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია აღიარება. ინდივიდუალური საქმეების დროს ხდება ხოლმე კომპენსაციის გადახდა, როცა დავა არის სახელმწიფოებს შორის, ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება უფრო აღიარებაზე, მტყუნმართლის გამოვლენაზე და არა კომპენსაციაზე. თუმცა თუკი იქნება კომპენსაცია დაკისრებული და არ გადაიხდის რუსეთი, საქართველოს შეუძლია ევროსასამართლოს კომიტეტში გაასაჩივროს ეს და შემდეგ კომიტეტი იმსჯელებს, როგორ შეიძლება აიძულოს რუსეთი, გადაიხადოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული საკომპენსაციო თანხა.

**— თქვენ ამბობთ, რომ კომპენსაციის გადახდის საკითხი ინდივიდუალურ საჩივრებს ეხებაო. ინდივიდუალური საქმეებიც ხომ არის?**

– ეს ინფორმაცია არის არასწორად გავრცელებული. კონკრეტული პირების მიერ ევროსასამართლოში არ არის სარჩელი შეტანილი, უბრალოდ საქართველოს მოქალაქეების სახელით საჩივარი შეიტანა საქართველოს სახელმწიფომ. ეს არის საქმე – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. კერძო პირები არ არაფერ შუაში არ არიან.

*შორენა გოგოლაძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირის წევრობამდე რთული გზის გავლა მოგვიწევს



„სოციალ-დემოკრატების“ ლიდერი, შს ექსმინისტრი, კობა ნარჩემაშვილი თვლის, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ საქართველოს ძალიან რთული გზის გავლა მოუწევს.

„ევროკავშირის წევრობამდე, ძალიან რთული გზის გავლა მოგვიწევს. პოლიტიკური არჩევანი უკვე გაკეთებულია. ჩვენ ევროპული სივრცის წევრები ვხდებით არა მარტო დეკლარირებულად, არამედ ეს აისახება ქვეყნის შიდა პოლიტიკაზეც. ხელშეკრულების თანახმად, ევროპასთან მიმართებაში ბევრი ვალდებულება გვეკისრება. ეს ყველაფერი, მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკისთვის, ეკონომიკის გადაწყობისთვის.

ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ჩვენ მენტალურადაც მოგვიწევს ბევრ რამეზე უარის თქმა, აზროვნების ახლებურად დაწყება... ესაა ჩვენი, როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი არჩევანი“, – განაცხადა ნარჩემაშვილმა. (რეპორტიორი)

## „ბიზნესთან მიმართებაში, წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მახინჯი ტენდენცია გრძელდება!“

პოლიტიკურ გაერთიანება „რეფორმატორების“ ლიდერი, ირაკლი ღლონტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, „112“-ის დანერგილ იმ ახალ სერვისს ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების ევაკუირება მოხდება.



„ქვეყანაში, ამ ბიზნესით დაკავებული 100-მდე სამეწარმეო სუბიექტისთვის იქმნება არაჯანსაღი, არაკონკურენტუნარიანი გარემო. ჩვენ 20-მდე კომპანიას დავუკავშირდით და ვკითხეთ, გაიარა თუ არა კონსულტაციები ხელისუფლებამ მათთან, შეექმნებათ თუ არა პრობლემები მათ ბიზნესს, ყველამ ცალსახად ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევაზე. თვლიან, რომ გაუჭირდებათ არათანაბარ პირობებში უკვე სახელმწიფო სამსახურთან კონკურენცია. მხოლოდ დედაქალაქის მასშტაბით 50-მდე კომპანია თუ ინდივიდუალური მეწარმე ფუნქციონირებს, სადაც დასაქმებული არიან ადამიანები. რეგიონებში ადამიანებმა საცხოვრებელი სახლებიც კი იპოთეკით დატვირთეს, შეიძინეს ევაკუატორი მანქანა და ამით არჩენდნენ ოჯახებს, ხელისუფლებამ მათ საფრთხე შეუქმნა. სამწუხაროდ, ბიზნესთან მიმართებაში გრძელდება წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მახინჯი ტენდენცია. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე დაცვის კომპანიებს პრობლემები შეუქმნა ხელისუფლებამ და არ მისცა მათ განვითარების საშუალება, როცა შეიქმნა დაცვის პოლიცია, როგორც სახელისუფლებო მექანიზმებს ამოფარებული მონოპოლისტი „სახაზინო“ საწარმო, სადაც ხელისუფლების უმაღლესი პირები დაკმაყოფილებული არიან მაღალი ხელფასებითა და პრემიებით, ხოლო დაცვის პოლიციელებს უხდიან მათხოვრულ ხელფასს, ისიც ხშირ შემთხვევაში არასრულად.

ქვეყანა ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის უმძიმესი რისკებისა და გამოწვევების წინაშე დგას. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სახეზე გვაქვს არაეფექტური ადმინისტრირება, რის შედეგადაც ქართული ეკონომიკა განიცდის ვარდნას. ტოტალური უმუშევრობის პირობებში ხდება უცხოელი ინვესტორების მასობრივი გადინება, უამრავი ადამიანი კარგავს სამუშაო ადგილს, კარგავს სახლს, კარგავს იმედს და დაკარგა ოცნება“. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „რემენა“ კახი კალაძის დავალებით გაათავისუფლეს?

საქართველოს კონსული უკრაინაში კონსტანტინე საბიაშვილი უკრაინიდან ე.წ. კანონიერ ქურდ „რემენას“, იგივე რომან ბარბაქაძის უკრაინიდან დეპორტირების ფაქტს ადასტურებს.



„გიდასტურებთ იმ ფაქტს, რომ 20 ივნისს ჩვენთან საკონსულოში მოვიდა შეტყობინება უკრაინის შს სამინისტროდან მოქალაქე რომან ბარბაქაძესთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდა და ითხოვდა მის დეპორტაციას და დასაბრუნებელი მოწმობის გაცემას. აღნიშნული საკითხი ჩვეულებისამებრ დამუშავდა, გადაეცა საქართველოს შს სამინისტროსაც, შემდეგ გაიცა დასაბრუნებელი მოწმობა და დოკუმენტი უკრაინულ მხარეს გადაეცა. დოკუმენტი გაიცა საქართველოს მოქალაქე რომან ბარბაქაძის სახელზე, რომელიც არ ფლობდა მოქმედ დოკუმენტს. ამის შემდეგ განხორციელდა მისი ქვეყნიდან დეპორტაცია“.

კონკრეტულად რა მიმართულებით მოხდა მისი დეპორტაცია, საბიაშვილი ამ ეტაპზე ინფორმირებული არაა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით კი, უკრაინაში დაკავებული და გამოდეპორტებული ე.წ. „კანონიერი ქურდი“ „რემენა“ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტიდან ისე გაიყვანეს, რომ მის მიერ საზღვრის კვეთაც არ დაფიქსირებულა.

„უკრაინულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინაში დააკავეს ქართველი კანონიერი ქურდი, წარსულში არაერთხელ ნასამართლევი რომან ბარბაქაძე, მეტსახელად „რემენა“. დაკავების დროს მან უკრაინელ სამართალდამცველებს წარუდგინა ყირგიზეთის მოქალაქე რამინ ალხაზოვის ყალბი პასპორტი. დაკავების შესახებ უკრაინულმა მხარემ აცნობა საქართველოს საკონსულოს და ის გამოადეპორტეს დროებითი მოწმობით. ჩვენ მოვიკვლიეთ დამატებითი ინფორმაცია. მისი ავიარეისის ბილეთის ნომერი იყო 566240119315. თვითმფრინავი ბორისპოლის ტერმინალიდან გამოფრინდა 21 ივნისს, 19:35 სთ-ზე. რომან ბარბაქაძეს თბილისის აეროპორტში კრიმინალური პოლიცია ელოდა, რათა დაეკავებინათ. თვითმფრინავის დაჯდომისას აეროპორტში გამოჩნდნენ შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები. მათ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს აუხსნეს, რომ ასრულებდნენ ვიცე-პრემიერ კახი კალაძის დავალებას. მათი თქმით, „რემენა“ არ იყო კანონიერი ქურდი, არამედ იყო ბიზნესმენი და სწორედ ამ მოტივით გენერალურმა ინსპექციამ ძებნილი პირი თვითმფრინავის ბორტიდან ჩამოსვა და ისე გაიყვანა აეროპორტიდან, რომ მის მიერ საზღვრის კვეთაც კი არ დაფიქსირებულა“, – განაცხადა ნადირაშვილმა და დასძინა, რომ მისი ინფორმაციით, „რემენა“ დაკავებული არაა.

შს სამინისტროში ნადირაშვილის ინფორმაციას არ ადასტურებენ. (ფრონტნიუსი)

„ვისაც ქართული სისხლი გვაქვს, კაცები ვართ, საკუთარი თავით დავდივართ, ვისაც შეგვიძლია მტრის წინაშე თავაწეული დგომა — არ ვიჩოქებთ და ზურგს არ ვაჩვენებთ, ვისაც გვაქვს წარსულის პატივისცემა, ვინც რეალურად ვხედავთ დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას, ვინც ვფიქრობთ ქვეყნისა და საკუთარი შვილების მომავალზე — გავერთიანდეთ ეროვნული იდეით, დავდგეთ საქართველოსთვის! იქმნება საინიციატივო ჯგუფი. პირველი შეკრება შედგება 8 ივლისს". ეს განცხადება ეკუთვნის „სახალხო კრების" ერთ-ერთ ლიდერს, თემურ შაშიაშვილს.

მაინც რა ახალი მოძრაობა იწყება საქართველოში და რა შეკრება უნდა შედგეს 8 ივლისს? ამ თემაზე „ალიას" თავად **თემურ შაშიაშვილი** ესაუბრება:

**— ბატონო თემურ, დღეს ძალიან ბევრი ადამიანი ქმნის რაღაც მოძრაობას და ასე ვთქვათ, იმუქრება, რომ შემოდგომაზე დაიწყებს არნახულ გამოსვლებს. თქვენ რა საინიციატივო ჯგუფს ქმნით?**

– დღეს საქართველოში ისევ მოქმედებს ის იდეოლოგია, რომელიც 2003 წელს დაამკვიდრა ამერიკის ელჩმა, რიჩარდ მაილსმა. ჩვენ შეგვიქმნეს ილუზია, თითქოს ქვეყანაში ყალიბდებიან პოლიტიკური ძალები. არაფერი არ იცვლება, მაილსმა ხელისუფლებაში მოიყვანა არასამთავრობოები და იგივეს აგრძელებს რიჩარდ ნორლანდი. გვათამაშებენ, მასხრად გვიგდებენ, ექსპერიმენტებს ატარებენ. საქართველოში მოიყვანეს ამერიკელებისგან ზომბირებული ადამიანები, სექტები, რომლებიც ნერგავენ კატასტროფულ იდეოლოგიას.

ფაქტებს გეტყვით, სოროსულმა ძალებმა ყველგან შეაღწიეს, გადასინჯეთ ნებისმიერი ბანკის დამფუძნებელთა სია, ერთ-ორ სოროსელს, ან თავად სოროსს წააწყდებით. ამიტომაა, რომ მერე ეს ბანკები თავიანთი დედების მაგინებლებს აფინანსებენ, მათ წიგნებს გამოსცემენ. შეიძლება ეს თვითონაც არ მოსწონთ, მაგრამ იდეოლოგიას ვერსად ემალებიან. როგორ შეიძლება, დღეს საკვანძო თანამდებობებზე ისევ ინიშნებოდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის" კადრები? ახლა ზოგს უკვირს, ამ ინსტიტუტში გამოჩეკილი ადამიანები, „ქართულ ოცნებას" მხარს როგორ უჭერენო? მაგათ არც ეროვნება აქვთ და არც პარტიულობა იციან, სადაც მიდიან, ყველგან მიაქვთ თავიანთი იდეოლოგია. ისინი „ქართულ ოცნებაში" იქნებიან თუ „ნაცმოძრაობაში", მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

**— მიზეზი გასაგებია... წესით, თქვენ არჩევნებთან დაკავშირებითაც უნდა გქონდეთ პრეტენზიები.**

– დავუშვათ, არჩევნები ზუსტად ისეთი შედეგებით დამთავრდა, როგორც აცხადებს საარჩევნო კომისია. დავუშვათ, არ გაყალბებულა და ყველაფერი ისეა, როგორც ლაპარაკობენ, ეს ხომ უფრო დიდი კატასტროფაა? ჩვენი კაბინეტები და ჩვენი სახლები სავსეა ხატებით, ბიბლიებით, სანთლებით და გადაიჭედა ეკლესიები. კი, მაგრამ იმ ორ პარტიას, რომლებმაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, ამ კანონის მიღებიდან საქართველოში არჩევნებზე მისული ხალხის 80-მა პროცენტმა რანაირად დაუჭირა მხარი? თუ დაუჭირა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ფარისევლებით ყოფილა სავსე. ვიცი, ბევრს ეწყინება, დღეს საქართველო არის სავსე ფარისევლებით! მისი უწმინდესობა განცხადებით გამოვიდა, ამ კანონს ნუ იღებთო. ამ არჩევნებმა მაჩვენა, რომ უფრო რთული მდგომარეობა ყოფილა.

**— ბატონო თემურ, იქნებ დეტალურად ამიხსნათ, რას აპირებთ 8 ივლისს და შემდეგ რას აპირებთ შემოდგომაზე?**

– ჩემი აზრით, 2014 წლის პირველ ოქტომბერს ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, ჩატარდეს გრანდიოზული აქცია და ეს იქნება დიდი შემოძახილი. სხვადასხვა მიმართულებებიდან ყველამ პირველ ოქტომბერზე

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**„ვისაც ქართული სისხლი გვაქვს, კაცები ვართ... ვისაც შეგვიძლია მტრის წინაშე თავაწეული დგომა — არ ვიჩოქებთ და ვინც რეალურად ვხედავთ დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას..."**

# ყველანი საინიციატივო ჯგუფში!!! შეკრება 8 ივლისს!!!



**„მაილსმა ხელისუფლებაში მოიყვანა არასამთავრობოები და იგივეს აგრძელებს რიჩარდ ნორლანდი. გვათამაშებენ, მასხრად გვიგდებენ, ექსპერიმენტებს ატარებენ. საქართველოში მოიყვანეს ამერიკელებისგან ზომბირებული ადამიანები, სექტები, რომლებიც ნერგავენ კატასტროფულ იდეოლოგიას"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნატო-ს შემოთავაზებული პაკეტის რამდენიმე დეტალი ცნობილია



თანამშრომლობის მომავალი ფორმის შინაარსზე ნატო-ს წევრი ქვეყნები უკვე შეთანხმდნენ, მათ შორისაა, ისეთი მინიშნებები, რომელთა გამოყენება საქართველოს არა უელსის სამიტის შემდეგ, არამედ დღესვე შეუძლია.

„საქართველო მიიღებს უპრეცედენტო პაკეტს. მსგავსი პაკეტი ჩვენ ნატო-ს არაწევრი არც ერთი სახელმწიფოსთვის არ მიგვიცია. რაც უკვე გადაწყვეტილია, საქართველოს მივცემთ საშუალებას, ჩაერთოს გახანგრძლივებული დროით ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში, მეორე – ჩვენ ვპატიჟებთ და ვაძლევთ საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს ნატო-ს სტრატეგიულ მსჯელობაში. ეს არ იქნება მხოლოდ თავსებადობის თემებზე მსჯელობა, არამედ ნატო იმსჯელებს მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამ პაკეტით საქართველო ნატო-ს დაუახლოვდება და დაუახლოვდება სტრუქტურულადაც. გენერალური მდივნის იდეაა, რომ საქართველოს სასწავლო ცენტრი გაიხსნას, ასევე ვფიქრობთ, ხომ არ დავუკავშიროთ ეს ცენტრი პირდაპირ ნატო-ს რომელიმე ქვეყანაში გახსნილ ცენტრს მეტი კავშირებისთვის", – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

აპატურაი მიიჩნევს, რომ საქართველომ ამ არსებითი პაკეტით მიიღო მაქსიმუმი, რაც ამ ეტაპზე იყო შესაძლებელი. (ნიუპოსტი)

## სახელმწიფომ წამების მსხვერპლთა დაცვა დროულად უნდა უზრუნველყოსო



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„2012 წლის სექტემბერში, ე.წ. „ციხის კადრების" გამოქვეყნების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ წამება და არასათანადო მოპყრობა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. მოგვიანებით, 2013 წლის აგვისტოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მის კუთვნილ თუ სხვა ტერიტორიებზე არაერთი ვიდეოჩანაწერის აღმოჩენამ მსგავს ქმედებათა სისტემურ ხასიათზე მიანიშნა, მათ შორის, სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ. მართალია, დღეს წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა აღარ ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა, დღემდე პრობლემად რჩება მოქალაქეების/მსჯავრდადებულების მიმართ პოლიციისა და სასჯელაღსრულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია და მათი სათანადო კომპენსაციით უზრუნველყოფა", – აცხადებს ომბუდსმენი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კუს ტბაზე მამაკაცი დაიხრჩო



კუს ტბაზე ტურისტი დაიხრჩო. შემთხვევა 26 მაისს დილით მოხდა. 32 წლამდე ასაკის მამაკაცი მეგობრებს დაკარგული ეგონათ, მოგვიანებით კი მაშველებმა გვამი წყალში იპოვეს. ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცს ჯანმრთელობის პრობლემები, კერძოდ, ეპილეფსია ჰქონდა, რამაც, სავარაუდოდ, უბედური შემთხვევა გამოიწვია. დალუპვის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით ამ დრომდე უცნობია. (ნიუპოსტი)

## საქართველოს დელეგაცია უკვე ბელგიაშია



საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ბელგიის სამეფოში 26 ივნისს ჩავიდა.

ბრიუსელში, ლუქსემბურგის მოედანზე გამოფენილია საქართველოსა და ევროკავშირის დროშები. დამთვალიერებელს შეუძლია, საქართველოს შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო ბუკლეტებიდან შეიტყოს.

„ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რის შესახებაც ევროკავშირის ლიდერებმა უკვე არაერთი განცხადება გააკეთეს. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას მთელი ევროპისთვის ისტორიული ნაბიჯი უწოდა. ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო, ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირველი პირები", – აღნიშნულია ირაკლი ღარიბაშვილის პრესსამსახურის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

უნდა ავილოთ ორიენტაცია. მე ვთვლი, რომ 2012 წლის ოქტომბერში გადარჩა „ნაცმოძრაობა“ და გადაარჩინა ბიძინა ივანიშვილმა. საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს იყო ქართული საქმის გამარჯვების დღე. კი, ბატონო, ალვნიშნოთ ეს დღე და საჯაროდ მოვითხოვოთ, გამოვიდეს ბატონი ბიძინა, გამოიტანოს თავისი პარტიის პროგრამა და ჩააბაროს ქართველ ხალხს ანგარიში. ეს უნდა მოხდეს არა ტელევიზიით, არამედ საჯაროდ, თავისუფლების მოედანზე, როგორც უყვარდა ხოლმე გამოსვლა. თუ უნდა, თვითონ შეკრიბოს ხალხი და ჩააბაროს ანგარიში. ჩვენ 8 ივლისს შევიკრიბებით, შევქმნით საინიციატივო ჯგუფს და მანამდე გავაკეთებთ იმ პროგრამის სრულ ანალიზს, რომელიც მან 2012 წლის ზაფხულში წარმოადგინა. მართალია, ქუთაისში ახლად არჩეულმა მერმა, მურღულიამ მითხრა, ეს პროგრამა მე დავწერეო, მაგრამ არ მჯერა, ვაი იმ პარტიას, რომელსაც მურღულია დაუწერს პროგრამას. მე ვთვლი, რომ მეცნიერთა ჯგუფმა დაწერა. როცა ეს ინტერვიუ გამოქვეყნდება, საქართველოში ხზოს აღტაცება იქნება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას უნდა მოვაწეროთ ხელი... ესეც საკითხავია, რას მოგვიტანს, რასმუსენი და ბაროზო რომ გეყოლებიან უფროსებად, ცნობილი მაფიოზები, რაზეა ლაპარაკი? როგორც ჩანს, დღეს მაფიოზების ხელშია მთელი მსოფლიო. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ გამოგონილი ევროპით, ასე გვაცხოვრებდა სააკაშვილი და ასეა ახლაც. როგორ ევროპასაც და როგორ ამერიკასაც გვიხატავენ, ასეთი არ არსებობს. ასევე, არ არსებობს ისეთი ბიძინა ივანიშვილი, როგორიც ჩვენ გამოვიგონეთ, რეალური ივანიშვილი გაცილებით სასურველი და სასარგებლოა საქართველოსთვის. ვიდრე ჩვენ არ მოვიხსნით ამ ილუზიებს, ვერც ბიძინა გადაგვარჩენს და ვერც სხვა ბელადი. მე ვერც ივანიშვილის ერთგული ვიქნები და ვერც დღევანდელი მთავრობის, ჩემი პოზიცია ნათელია, მე ვარ ქართული იდეის მომხრე და ამ განწყობით იმუშავებს საინიციატივო ჯგუფი. დღეს ქვეყნის გადარჩენის გასაღები არ დევს საქართველოს გარეთ, ის აქვეა, ჩვენში.

**— ბატონო თემურ, ფაქტობრივად, ახალ მოძრაობას ქმნით?**

– არა, არ ვქმნი ახალ მოძრაობას, მე ვქმნი მხოლოდ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც 2014 წლის ოქტომბრისთვის მოამზადებს დიდ ეროვნულ ფორუმს.

**— და ვინ იქნებიან ამ საინიციატივო ჯგუფში?**

– ჯერ ეს საკითხი დასაზუსტებელია, ამას გავიგებთ 8 ივლისს, როცა შევიკრიბებით. ველოდები ყველას, ვისაც ეს ქვეყანა უყვარს და რაღაცის გაკეთება უნდა.



**„მე ვთვლი, რომ 2012 წლის ოქტომბერში გადარჩა „ნაცმოძრაობა“ და გადაარჩინა ბიძინა ივანიშვილმა. საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს იყო ქართული საქმის გამარჯვების დღე. კი, ბატონო, ალვნიშნოთ ეს დღე და საჯაროდ მოვითხოვოთ, გამოვიდეს ბატონი ბიძინა, გამოიტანოს თავისი პარტიის პროგრამა და ჩააბაროს ქართველ ხალხს ანგარიში. ეს უნდა მოხდეს არა ტელევიზიით, არამედ საჯაროდ, თავისუფლების მოედანზე, როგორც უყვარდა ხოლმე გამოსვლა“**

**„დავუშვათ, არ გაყალბებულა და ყველაფერი ისეა, როგორც ლაპარაკობენ, ეს ხომ უფრო დიდი კატასტროფაა? ჩვენი კაბინეტები და ჩვენი სახლები სავსეა ხატებით, ბიბლიებით, სანთლებით და გადაიჭედა ეკლესიები. კი, მაგრამ იმ ორ პარტიას, რომლებმაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, ამ კანონის მიღებიდან საქართველოში არჩევნებზე მისული ხალხის 80-მა პროცენტმა რანაირად დაუჭირა მხარი?“**

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

# ოზურგეთის მერობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა თანამდებობები წინასწარ ჩამოარიგა

ოზურგეთში, მერობის კანდიდატები მეორე ტურისთვის ემზადებიან. კოალიცია **„ქართული ოცნების“** მერობის კანდიდატი **ბეგლარ სიორიძეა**, რომელმაც ხმების უმრავლესობა აიღო. მას ოპონირებას „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი, **შოთა გოგიბერიძე** გაუწევს. ეს უკანასკნელი დავით თარხან მოურავის პარტიაში თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე „ფორუმიდან“ გადავიდა. მისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის გახლდათ, რომ კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ ის არ დაასახელა მერობის კანდიდატად.

რამდენიმე დღის წინ შოთა გოგიბერიძემ ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების სხვა კანდიდატები მას დაუჭერდნენ მხარს მეორე ტურში.

გოგიბერიძემ ბრიფინგის შემდეგ ადგილობრივ მედიასაშუალებასთან („გურიის მოამბე“) განაცხადა, რომ ის დანარჩენ მერობის კანდიდატებთან, უკვე შეთანხმდა, გამარჯვების შემთხვევაში ერთობლივ მუშაობაზე. თუმცა მან თავი შეიკავა, დაეკონკრეტებინა, რომელი ყოფილი კანდიდატი რა პოსტს დაიკავებდა.

„რა თქმა უნდა, ამაზე არის ნაფიქრი და იყო საუბარი, ჩემს გუნდში იქნებიან ისინი, ვინც მხარს მიჭერენ. თუმცა ვინ რა კონკრეტულ პოსტს დაიკავებს, ამაზე ჯერ ვერ გავაჟღერებთ ინფორმაციას“, – განაცხადა მან.

მესამე ადგილზე გასული კანდიდატი, პარტია „სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზიდან“ ვანო ტაბატაძე, რომელიც შოთა გოგიბერიძესთან გაერთიანდა, უკვე ორ სავარაუდო თანამდებობას ასახელებს.

„შესაძლოა, ვიყო ვიცე-მერი, შესაძლოა, აპარატის უფროსი“, – განაცხადა მან.



**შოთა გოგიბერიძის ამ განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე აკეთებს:**

„სხვების განცხადებებზე მე კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ, თუმცა ერთი რამ შემიძლია გითხრათ, მე არავის დავპირდები და ვერ დავპირდები თანამდებობებს ორი მიზეზის გამო. პირველ გახლავთ ის, რომ ნამდვილად არ მინდა მსგავსი თემით სპეკულაცია დავიწყო და ამომრჩეველი მოვატყუო, სულ ერთია, ჩემი იქნება თუ სხვისი. მეორე უმნიშვნელოვანესი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ არსებობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, სადაც ნათლადაა ნათქვამი, რომ კადრები უნდა დაინიშნოს კონკურსის წესით. მე ძალიან მკაცრად დავიცავ ამ პირობას, რადგან ჩემდამი პირადი სიმპათია-ანტიპათიის გამო კანონის დარღვევას არ ვაპირებ. ესეც რომ არ იყოს, პიროვნულადაც მიმაჩნია, რომ ნებისმიერ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს პროფესიონალი, რომელიც ოზურგეთს არაერთი ჰყავს. თანამშრომლობას კი ვაპირებ კოალიციურ რეჟიმში, ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელთან, ასევე განურჩევლად იმისა, მე მომცემს ხმას თუ სხვას. ეს არის უმნიშვნელოვანესი თვისება მენეჯერისა, რომელზეც დამოკიდებულია მერიისა და, საერთოდ, ნებისმიერი უწყების ეფექტური მუშაობა.

**რამდენად რეალურია მსგავსი სახის დაპირება, ამასთან დაკავშირებით კომენტარს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი აკეთებს:**

„ასეთი განცხადება სამართლებრივ შესაძლებლობებს მოკლებულია და უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანდიდატის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ განცხადებას. 2014 წლის 5 თებერვალს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველობის რეფორმის განუყოფელ ნაწილს, ვინაიდან წარმოდგენილი ცვლილებები განხორციელებულ იქნა ამ მიზნით ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში. ცვლილების მიხედვით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე, მათ შორის კონკურსის წესით დანიშნულიც, ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილზე ცხადდება კონკურსი.

შესაბამისად, არჩევნების, თუნდაც მეორე ტურის შედეგად არჩეული მერი, კანონში შესული და მოქმედი ცვლილებების გათვალისწინებით, ვერც ერთ მოქალაქეს, გნებავთ, პოლიტიკურ კონკურენტს ვერ შეუსრულებს ვერც ერთ დანაპირებს, რომელიც დასაქმების გარანტიებს ეხება. როგორც გითხარით, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე, მათ შორის კონკურსის წესით დანიშნულიც, ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილზე ცხადდება კონკურსი. სწორედ კონკურსი გამოავლენს ადგილობრივ დონეზე, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სამომავლო მდგომარეობას. ამასთანავე, აღვნიშნავ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის საკითხს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია“.

# ლაშა ამირეჯიბი: „ყველას დედა მოვტ...ან, ვისაც სიმართლე ეზიზღება, ვისაც სიმართლე სძულს... გინდა ძველ ხელისუფლებაში იყოს, გინდა — ახალ ხელისუფლებაში!“



შემოდგომამდე ორი თვე დარჩა. დღეს ბევრი აანონსებს, რომ სექტემბრიდან თბილისში გამოსვლები დაიწყება, სადაც იქნება მთავარი მოთხოვნა: „აღდგეს სამართლიანობა!“ ამ ყველაფერს კი აქვს წინაპირობა და უკვე ვხედავთ, როგორ იფშვნეტენ ხელებს „ნაციონალები“. მათ ახლა სჭირდებათ ფული, ფული და ფული, რათა გვარიანად არიონ სიტუაცია. დიახ, ფული იყოს, თორემ მოღალატეები, პროვოკატორები და აგენტები ბაღდადიდანაც „მოფრინდებიან“, აღარაფერს ვამბობ შინაურ მოღალატეებზე. ზოგიერთი რომ ყველაფერზე მოაწერს ხელს, ეს ჩვენ აზერბაიჯანის ინციდენტმაც გვაჩვენა.



„ხაჯიმბა აცხადებს, აფხაზმა ხალხმა დაგვავალა, ქართველები გავრეკოთ ჩვენი მიწიდანო, ხოლო თინა ხიდაშელი აცხადებს, ქართველმა ხალხმა დაგვავალა, „ნაციონალებთან“ დავამყაროთ კოჰაბიტაციაო. ნახე, როგორ ლაპარაკობენ ერთნაირი ლექსიკით. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენს ირგვლივ ძალიან ცუდი ამბები ხდება“

„ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, **ლაშა ამირეჯიბი** ესაუბრება:

– „ნაციონალ“ დეპუტატებს ეგონათ, რაკი პარლამენტის წევრები ვართ, არ გაგვჩხრეკენ და „შავ ფულს“ თავისუფლად შემოვიტანთო. თავისთავად ცხადია, ეს „შავი ფული“ რისთვისაც სჭირდებოდათ. რატომაც არა? არჩევნებისთვის და არეულობისთვის ფული საჭიროა. დღეს რომ უკვირთ, უკანონოდ შემოჰქონდათო, ეგენი 9 წლის განმავლობაში კანონიერს რას აკეთებდნენ? სამწუხაროდ, ყველას ავიწყდება, „ნაციონალებმა“ რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა, დაწყებული ხალხის ჩარეცხვით, დამთავრებული ძარცვით და მკვლელობებით. როდის იყო, ესენი კანონებით მოქმედებდნენ? თუ ბიზნესმენ კაპანაძის გამოსვლის შემდეგ, მისი ნაამბობის შემდეგ კიდევ ვინმეს ეჭვი ეპარება, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა საქმე. მას შემდეგ, რაც კაპანაძემ მთელი სქემა გაშიფრა, თუ როგორ ხვდებოდა „ნაციონალების“ ხელში ფული, ეს ვარიანტი „დაეწვათ“ და მოსინჯეს მეორე გზა, ანუ ფულის ჩამოსატანად თვითონ ჩავიდნენ ბაქოში. ჩემი ინფორმაციით, როგორც წყარო მატყობინებს, ძალიან მაღალ დონეზე ჩააწყვეს საქმე და ამჯერად მშრალზე გამოვიდნენ. ხომ ხედავ, წყაროს ვახსენებ, რადგან ყველა დედამოტ...ნული მე მედავება, რატომ იძახი სიმართლესო? ყველას დედა მოვტ...ან, ვისაც სიმართლე ეზიზღება, ვისაც სიმართლე სძულს. გინდა ძველ ხელისუფლებაში იყოს, გინდა – ახალ ხელისუფლებაში!

**— ახლა ჩემთან იგინები და მერე მეტყვი, რატომ დაწერეო?**

– დაწერე, მე ყველას არ ვაგინებ, ვინც სიმართლეს ვერ იტანს, იმის დედა მოვტ...ან! დღეს თუ სიმართლეს იტყვი, ზოგიერთს ჰგონიხარ მტერი. კარგი, ამას დავანებოთ თავი, ჩემი ინფორმაციით, „ნაციონალების“ „შავი ფული“ დარჩა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. რატომღაც დღეს არავინ არ ლაპარაკობს, რომ ბაქოში ჩასული იყო გიორგი ბარამიძეც და სხვა „ნაციონალებიც“. რაც ამ ადამიანზე სოსო ჯაჭვლიანმა თქვა, ეს არის სრული სიმართლე, ბარამიძე არის მკვლელი, მან ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი. ჩვენი ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევს, გამოძიებას არ იწყებს. კი, ბატონო,

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



*მეხუთე გვერდიდან*

ეს ხელისუფლების გადასაწყვეტია, მაგრამ ხალხი რას ფიქრობს, ეს უკვე მეორე საკითხია.

**— ეკა ბესელია მეუბნება, ჩვენს ევროპელ მეგობრებს ვარწმუნებთ, რომ „ნაციონალები“ დასასჯელები არიან, ხალხი ამას ითხოვსო. ესე იგი, თუ მამალი „ნაციონალები“ რამეს დააშავებენ, სანქცია გვჭირდება ევროპიდან ან ამერიკიდან. თუ რიჩარდ ნორლანდმა ხელი არ მოაწერა, ვერავისაც ვერ დაიჭერენ. მე მგონი, ჩვენ არც შტატი ვართ, არც გუბერნია, როგორც სოფლის ორღობეს, ისე გვიყურებენ.**

– კარგი, რა, ამათ რომ ვინმეს დასჯა ნდომოდათ, აქამდე დასჯიდნენ. მე არ ვიცი, ვინ ვის არწმუნებს, მაგრამ რომ ყოფილიყო პოლიტიკური ნება, ეს ადამიანები დღეს გისოსებს მიღმა იქნებოდნენ. მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ ყველაფერს რაღაც კავშირი აქვს ქვემო ქართლთან, მარნეულის ამყრალება იწყება სწორედ აქედან. საქართველოში ამ საქმეს სათავეში უდგას „ნაციონალი“ პარლამენტარი აზერ სულეიმანოვი. რატომღაც ეს ადამიანი ახალმა ხელისუფლებამ ეროვნულ გმირად აქცია, ქვემო ქართლში დღეს სულეიმანოვზე დიდი კაცი არ არსებობს. ამ დროს არაფერს არ წარმოადგენს, ადრე ერთი პატარა რესტორანი ჰქონდა და ამის შემდეგ გახდა პარლამენტარი. ეს კაცი არის სულისჩამდგმელი იგივე გარდაბნის არეულობისა. მისი შუამავლობით „ნაციონალები“ ჩალიჩობდნენ, რომ ქვემო ქართლი მთლიანად წაეგლიჯათ კოალიციისთვის. როცა დავით უსუფაშვილი და ხათუნა გოგორიშვილი შეხვდნენ ერთმანეთს, მათ ამ თემაზე ჰქონდათ ლაპარაკი. უსუფაშვილმა სულ ტყუილად იუარა, არანაირი შეთანხმება არ მომხდარაო. როგორც ჩემი წყარო მეუბნება, იქ იყო ლაპარაკი ქვემო ქართლის დათმობაზე, ამაზე შეთანხმდნენ. ამით იმისი თქმა მინდა, რომ „ნაციონალები“ არა მხოლოდ ფულის გულისთვის იყვნენ ჩასულები ბაქოში, არამედ, ამუშავებენ გეგმას, როგორ ააგორონ სამომავლოდ საპროტესტო ტალღა ქვემო ქართლში და როგორ მოაწყონ პროვოკაციები. სამწუხაროა, რომ ამ საქმეში „ნაცმოძრაობასთან“ ერთად ცუდ როლს თამაშობენ „რესპუბლიკელები“. ადვილი შესაძლებელია და საამისო კონტურები უკვე ჩანს, სამომავლოდ ესენი ერთ პოლუსად ჩამოყალიბდებიან და შეიერთებენ გიორგი მარგველაშვილსაც. ამის შემდეგ დაიწყებენ ღია ბრძოლას ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. ეს იქნება საკმაოდ სერიოზული ძალა. ამ დროს, ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ პრემიერ-მინისტრი პოლიტიკური დასაყრდენის გარეშეა დარჩენილი.

ახლა ნახე, 27-ში ძალიან კარგი საქმე კეთდება, ხელი ეწერება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ანუ მიგვიღებენ პირველ კლასში, მე-10 კლასამდე როდის მივაღწევთ, არავინ იცის. აპატურაის განცხადება ვნახე, დიმიტროვის განცხადებაც წავიკითხე, იმედი გადაგვიწურეს, მაგრამ რაც კეთდება, სიმბოლურად მაინც არაუშავს. ამას მოჰყვება რეფერენდუმი ცხინვალში... როგორც ჩვენი არქიფო, მამა-მარჩენალი და საქართველოს „მაყურებელი“, რიჩარდ ნორლანდი ამბობს, რუსეთის ქმედებები არალეგიტიმურად ჩაითვლებაო, გეგონება, აქამდე ლეგიტიმური იყო. რატომღაც გვავიწყდება, რა მოხდა აფხაზეთში, ხაჯიმბა აცხადებს, აფხაზმა ხალხმა დაგვავალა, ქართველები გავრეკოთ ჩვენი მიწიდანო, ხოლო თინა ხიდაშელი აცხადებს, ქართველმა ხალხმა დაგვავალა, „ნაციონალებთან“ დავამყაროთ კოჰაბიტაციაო. ნახე, როგორ ლაპარაკობენ ერთნაირი ლექსიკით. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენს ირგვლივ ძალიან ცუდი ამბები ხდება. საბედნიეროდ, პუტინს დღეს არა აქვს საშუალება, ჩვენც სერიოზულად დაგვარტყას, მას ჯერ უკრაინა აქვს ყელში გაჩხერილი, მაგრამ საქართველოში რომ გარკვეული სივრცე ინალმება და ამაში „ნაციონალებიც“ მონაწილეობენ, ეს ცხადია. ჩვენს გარშემო ნელ-ნელა ჩნდება ცეცხლის კერები. დღეს ვინც სიმართლეს ამბობს, ხელისუფლება იმათზე განაწყენებულია, სიმართლე თქვა ბიძინა ივანიშვილმა: ხელისუფლებას უნდა მართავდეს ხალხი და ამისთვის საჭიროა, ხალხმა სიმართლე იცოდეს. ბატონი ზურა აბაშიძე ამბობს, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქუჩაში აქციები მოეწყოსო. კარგად მახსოვს, როგორ იდგა ქუჩაში ირაკლი ალასანია თავისი გუნდით, როცა გაერთიანებული ოპოზიცია იყო. რაც შეეხება მღელვარებასა და ქუჩაში გამოსვლას, მაშინ ასე მოვილაპარაკოთ, შე მამაცხონებულო, თუ არ გინდა, რომ გარეთ გამოვიდე, ისე გააკეთე, ისე მოიქეცი, ამისი სურვილი არ გამიჩნდეს, ნუ მაძლევ მაგის საბაბს.

**— ლაშა, დღეს ძალიან ბევრი აანონსებს ქუჩის აქციების დაწყებას, შენც ამ აზრზე ხარ?**

– მე თუ საბაბს არ მომცემენ, არ გამოვალ. შეასრულონ ის, რასაც საზოგადოებას დაჰპირდნენ და ყველაფერი კარგად იქნება, ქუჩაში არავინ არ გამოვა. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას, ესენი ამ ყველაფერს გამოიყენებენ, აქ ძალიან დიდი მზაკვრული ჩანაფიქრია. თითქოს დავით უსუფაშვილს გადავეკიდე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: გამოდის და იძახის, ეს არჩევნები ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე მოვიგეთო, ვის ატყუებს, საკუთარ თავს? ჩვენ ეს არჩევნებიც ივანიშვილის ხათრით ჩავატარეთ, ნარმანიამ 46 პროცენტი მისი ხათრით და ინერციით აიღო. ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მობრუნდება და სიტუაციას მოატრიალებს. არანაირი უსუფაშვილისა და არანაირი სხვა პოლიტიკოსების ხათრით ჩვენ არჩევნებზე არ მივსულვართ. ჩვენ ისევ ხავსს მოვეჭიდეთ, ძალიან ცუდად გვაქვს საქმე, ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.

**„უსუფაშვილი რომ გამოდის და იძახის, ეს არჩევნები ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე მოვიგეთო, ვის ატყუებს, საკუთარ თავს? ჩვენ ეს არჩევნებიც ივანიშვილის ხათრით ჩავატარეთ, ნარმანიამ 46 პროცენტი მისი ხათრით და ინერციით აიღო. ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მობრუნდება და სიტუაციას მოატრიალებს. არანაირი უსუფაშვილისა და არანაირი სხვა პოლიტიკოსების ხათრით ჩვენ არჩევნებზე არ მივსულვართ“**





**„ზურა აბაშიძე ამბობს, ჩვენ არ დავუშვებთ, ქუჩაში აქციები მოეწყოსო. მე კარგად მახსოვს, როგორ იდგა ქუჩაში ირაკლი ალასანია თავისი გუნდით, როცა „გაერთიანებული ოპოზიცია“ იყო. რაც შეეხება მღელვარებასა და ქუჩაში გამოსვლას, მაშინ ასე მოვილაპარაკოთ, შე მამაცხონებულო, თუ არ გინდა, რომ გარეთ გამოვიდე, ისე გააკეთე, ისე მოიქეცი, ამის სურვილი არ გამიჩნდეს, ნუ მაძლევ მაგის საბაბს“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყოფილი მხედრიონელი ქალბატონი 4 ადამიანის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს



საქართველოს მთავარი პროკურატურისა და აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დაკავებულია კახეთის რეგიონის „მხედრიონის“ ყოფილი უფროსი, 1949 წელს დაბადებული მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი, რომელიც იძებნებოდა ბანდიტიზმისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი 4 პირის განზრახ მკვლელობის ორგანიზებისთვის,

2014 წლის 25 ივლისს, საქართველოში ექსტრადიციის შემდეგ, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილს წარედგინა ბრალდება. გამოძიებით დადგინდა, რომ 1993 წელს, მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილმა ა. როშჩინთან, ე. ფოკინთან, ვ. ვერკეტისთან, ვ. კისილოვთან და სხვა პირებთან ერთად, სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, გურჯაანის რაიონში ჩამოაყალიბა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა კახეთის ტერიტორიაზე. მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილის მიერ ჯგუფის წევრებისთვის შეძენილ იქნა ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი, ყალბი მართვის მოწმობები, საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროების, თავდაცვის სამინისტროებისა და მაშველთა კორპუსის მოწმობები, რომელთა საშუალებითაც ჯგუფის წევრები დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

1993 წლის 8-9 აგვისტოს, მოსკოვში, გიორგი იმერლიშვილისა და მიხეილ ყანჩაშვილის მკვლელობის კვალის დაფარვისა და მათი ქონების ხელში ჩასაგდებად, მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილის მითითებით, გურჯაანის საავტომობილო გზაზე, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, ა. როშჩინის, ა. ფოკინის, ა. კისილოვისა და სხვათა მიერ „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლული იქნა გიორგი იმერლიშვილის ძმა, შს სამინისტროს თანამშრომელი, ვიცე-პოლკოვნიკი ვასილ იმერლიშვილი, რის შემდეგაც ისინი დაეუფლნენ მოკლულის ავტომანქანა „ნივას“, რომელიც შემდგომში ყალბი საბუთების გამოყენებით გაასხვისეს.

იმავე საღამოს, ბანდიტური ჯგუფის წევრები დაბრუნდნენ გიორგი და ვასილ იმერლიშვილის სახლში და დანაშაულის კვალის დამალვისა და მათი ოჯახის ქონების დაუფლების მიზნით, ღამის საათებში, თოკით დაახრჩვეს ოჯახის უფროსი გივი იმერლიშვილი, დიასახლისი ლამარა ხუნდაძე და ანეტა იმერლიშვილი, რის შემდეგაც გაიტაცეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, სანადირო თოფები და ცეცხლსასროლი იარაღი.

აღნიშნული დანაშაულისთვის, 2014 წლის 25 ივნისს, მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა საქმეზე აგრძელებს გამოძიებას, საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ძველი რედაქცია) და 78-ე მუხლით (ძველი რედაქცია), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 15 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ საქმეზე მკვლელობის თვითმხილველები დაიკითხებიან



27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ საქმეზე მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართება.

პროკურატურის ცნობით, პროცესზე ბრალდების რამდენიმე მოწმე დაიკითხება. მათგან ორი მკვლელობის თვითმხილველი პირია. ასევე, დაიკითხებიან მოწმეები, რომლებმაც 2006 წელს კუდ-ის მაღალჩინოსნების დავალებით ცრუ ჩვენება მისცეს გამოძიებას. მოწმეების ჩვენებით სასამართლო მიიღებს ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ იქმნებოდა ცრუ საგამოძიებო ვერსია 2006 წლის 12 იანვარს ნავთლუღის ავტოსადგურზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. (ნიუპოსტი)

## ნარმანიას დებატებში უპირატესობის წარმოჩენა უნდა



კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის დავით ნარმანიას განმარტებით, ის მოუთმენლად ელის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატთან ნიკა მელიასთან დებატებს:

„ჩემთვის მნიშვნელოვანია დებატებში კიდევ ერთხელ წარმოვაჩინო ჩვენი აბსოლუტური უპირატესობა კონკურენტთან შედარებით და გამოვიყენო იმისთვის, რომ მოსახლეობას, საზოგადოებას უფრო დეტალური პროგრამა მივაწოდო. ამით კი დავანახებთ ჩვენს უპირატესობას პროგრამული თვალსაზრისითაც. ჩვენ თითოეულ საინფორმაციო საშუალებას პატივს ვცემთ, თუმცა მათი მრავალრიცხოვნობიდან და მეორე ტურის მოკლე ვადიდან გამომდინარე, ყველგან მისვლა ვერ ხერხდება, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დებატები იყოს ერთ ტერიტორიაზე და ყველა საინფორმაციო საშუალებას შესაბამისი ჩართვის საშუალება მიეცეს“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# არის თუ არა რეალური „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა და ვინ გაერთიანდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით?





„გოგორიშვილი ისევ მონაწილეობს საარჩევნო სისტემაში და ინტელექტუალურ დახმარებას რომ უწევდეს „ქართულ ოცნებას“, არც ის იქნება უცხო. ახალ-ახალი ტექნოლოგიების მოგონების სპეციალისტია, თუმცა არანაირ ახალ ტექნოლოგიას არ ჰქონია ადგილი, ძველი, ნაცადი ხერხებით მოხდა გაყალბება“

**რას აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია და რა აზრი აქვს ცალ-ცალკე აქციებს, რომელიც შემოდგომაზე იწყება? არის თუ არა რეალური „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა და ვინ გაერთიანდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით?**

**„ალიას“ „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:**

**— ბატონო ჯონდი, 25 ივნისს არასაპარლამენტო პარტიებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, სადაც საუბარია საარჩევნო გარემოს უსამართლობაზე, საარჩევნო დარღვევებზე და ა.შ. ამ განცხადებაზე არ იყო თქვენი კოალიციის ხელმოწერა. თქვენთან არ მოუტანიათ წერილი ხელმოსაწერად თუ მესამე პოლიტიკური ძალის სახელი გაინაღდეთ და ამან დაგაკმაყოფილათ?**

– ასეთი დოკუმენტი ჩემამდე არ მოსულა, ჩვენთან კოალიციაში გაერთიანებულია ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალა და ამ განცხადების ირგვლივ საუბარი არ გვქონია. თუმცა რაც წერია ამ განცხადებაში, მართალია, საარჩევნო ადმინისტრაციაში მონოპოლია აქვს „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, შესაბამისად, არჩევნები, გაყალბდა. ჩვენი ბიულეტენები თავის შეკვრაში გადაალაგეს, მეორე მხრივ, ნაწილი ამ ბიულეტენებისა გააფუჭეს, ან მელნით დასვარეს, ან შტრიხი გაუსვეს, რომ „დაბრაკულიყო“, ან სხვა პარტია შემოხაზეს კიდევ ერთხელ და ბათილად იქნა ცნობილი ასეთი ბიულეტენი. ამიტომ გვაქვს ბათილი ბიულეტენების უპრეცედენტო რაოდენობა. ერთ ოლქში ათასი ბიულეტენია გაუქმებული და აქედან 700 ჩვენი მომხრე იყო. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და მალე ამის გამო ყველა დაისჯება. მხოლოდ ამ ორი პარტიის შეთანხმების ნიადაგზე შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ. პირადად მე ვიყავი არჩევნების ღამეს რამდენიმე უბანზე მისული. იქ ჩვენმა დამკვირვებლებმა ივაჟკაცეს და დააფიქსირეს არჩევნების შედეგების გაყალბება. პირველ უბანზე რომ მივედი, იქ მაჩვენეს ოქმი, რომელსაც, როგორც მივედი, ხალხის შეკრება დაიწყო და, 30 ხმა დაამატეს. მეორე, გვერდით უბანზე 20 ხმა დაამატეს.

**— რას ნიშნავს „დაამატეს“?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ ბიულეტენები რეალურად არსებობდა და არ გამოაჩინეს. შემდეგ ჩვენ დავიწყეთ გამოკვლევა ვითარების და აღმოჩნდა, რომ ხმების დათვლის დროს უბრალოდ იქურდეს. მკითხველმა რომ კარგად გაიგოს, როგორ ხდება უბანზე ხმების დათვლა, მარტივად ავხსნი. იქ ხომ არის ე. წ. შეკვრა „ნა-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნების“ ოფისს კვერცხები დაუშინეს



კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისს იპოთეკით დაზარალებულებმა კვერცხები დაუშინეს. პოლიციასთან დაპირისპირების დროს აქციის ერთ-ერთი მონაწილე შეუძლოდ გახდა. მას ადგილზე გამოძახებულმა ექიმებმა გაუწიეს დახმარება. საბოლოოდ „ქართული ოცნების“ იურიდიულ სამსახურთან შეთანხმება მოხდა. მომიტინგეებმა პირობა მიიღეს, რომ გამოსახლებებთან დაკავშირებით 2-თვიანი მორატორიუმი გამოცხადდება.

იმ შემთხვევაში, თუ 2 თვის შემდეგ იპოთეკარები დაბალპროცენტიან სესხებს არ მიიღებენ, ისინი აქციების გაგრძელებას გეგმავენ. (ნიუპოსტი)

## დიდ დიღომში 11-მეტრიანი საკანალიზაციო მილი „გააქრეს“




დიდ დიღომში, ტარიელის ქუჩაზე 800 მმ-იანი საკანალიზაციო რკინა-ბეტონის კოლექტორის 11-მეტრიანი მონაკვეთი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ტექნიკურ ბრიგადას მიწიდან ამოღებული დახვდა. კომპანიის ტექნიკური ბრიგადა აღნიშნულ ქუჩაზე გაურკვეველი ავარიული დაზიანების ლიკვიდაციის მიზნით მივიდა.

ამ ფაქტის გამოაშკარავება საგზაო სამუშაოების შედეგად მოხდა, კერძოდ კი, მძიმე ტექნიკას, რომელსაც გზა გაჰყავდა, მიწა გამოეცალა და დიდ ორმოში ჩავარდა – მილის არარსებობის გამო გრუნტმა, შექმნილი სიცარიელის გამო, ტრაქტორის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო.

როგორც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წყალარინების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჯამილა ჩაჩხალია აცხადებს, 11-მეტრიან მონაკვეთზე საერთოდ აღარ არსებობს კოლექტორი, აღმოჩენილია მხოლოდ მილის 2-მეტრიანი ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნაწილები დაკარგულია. მისი თქმით, კოლექტორის გაუჩინარების მიზეზი ამ ეტაპზე გაურკვეველია, არადა, აღნიშნული ქსელი გამართულად მუშაობდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მოკვლევას აწარმოებს. (ნიუპოსტი)



## ლიბერთი ბანკი თავის ყველა მომხმარებელს „ლიბერთი კლუბში“ აწევრიანებს

ლიბერთი ბანკი მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს. 2014 წლის 26 ივნისიდან ბანკის ყველა მომხმარებელი „ლიბერთი კლუბის“ წევრი ხდება. მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, შეასრულოს საბანკო ოპერაციები და დააგროვოს ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის ქულები, რომელთა საშუალებითაც დაფარავს კომუნალურ და სხვა ტიპის გადასახადებს, შეავსებს მობილურ ტელეფონზე სასაუბრო დროს ან მიიღებს ფულს ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ბარათზე და **eMoney** ელექტრონულ მულტი სავალუტო ანგარიშზე, რომელსაც 1,7 მილიონზე მეტი მომხმარებელი იყენებს.

„ლიბერთი კლუბში“ გაწევრიანებულია ლიბერთი ბანკის 1,5 მილიონზე მეტი მომხმარებელი. მომხმარებელს ქულა უგროვდება საბანკო ოპერაციების განხორციელების შემდეგ. მაგალითად: თუ მომხმარებელი გადაიხდის ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით **Cheap.ge** ფასდაკლების პროგრამაში ჩართულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში, მას დაუგროვდება 50 ქულა; თუ მისთვის სასურველ ნივთს შეიძენს ლიბერთი ბანკის განვადების გამოყენებით, მომხმარებელი მიიღებს 15 ქულას. ქულები ასევე გროვდება თანხის გაგზავნის, სესხის აღების, ინტერნეტ და მობაილ ბანკინგის გამოყენების დროსაც. ოპერაციების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: **www.LBClub.ge**

„ლიბერთი კლუბის“ მიზანია, გაზარდოს მომხმარებელთა ლოიალობა და უზრუნველყოს მათი ინფორმირება ლიბერთი ბანკის სხვადასხვა ინოვაციური და მოსახერხებელი მომსახურების შესახებ. ბანკი „ლიბერთი კლუბის“ ფარგლებში არაერთ წამახალისებელ აქციას გეგმავს, რომელთა შესახებ ინფორმაციას მომხმარებელი ახლო მომავალში შეიტყობს.



მეშვიდე გვერდიდან

ციონალების“ ხმების, „ოცნების“ და ა.შ... ჩვენს ხმებს უმატებდნენ ან „ოცნების“, ან „ნაციონალების“ შეკვრაში. ამას აკეთებდნენ კომისიის წევრები, რომლებიც ძირითადად ამ ორი პარტიის მომხრეები იყვნენ. არც ერთ სხვა პარტიას კომისიის წევრები არ ჰყავს. დასხდნენ მაგიდასთან ესენი, დამკვირვებელს მოუზომეს დაახლოებით 2-3 მეტრი მანძილი, საიდანაც პროცესისთვის თვალი უნდა ედევნებინათ. ამ მანძილიდან შეძლებთ დანახვას, რომელ ბიულეტენზე რა ციფრია მოხაზული? გადმოყარეს ყუთებიდან ბიულეტენები და დაიწყეს დათვლა, აი, იქ მოხდა ამ შეკვრებში ჩვენი ხმების მითვლა. საშუალოდ, მე ვვარაუდობ, რომ 15-20 ხმა აქვთ ნაქურდალი თითო უბანზე.

**— ანუ ყველა უბანზე „ოცნება“ და „ნაციონალები“ ერთმანეთის გაყვანას ცდილობდნენ, სწორად გავიგე?**

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ერთმანეთი გაეყვანათ და სხვა პოლიტიკური ძალის ხმები არ გაზრდილიყო იმაზე მეტად, ვიდრე მათ საფრთხეს შეუქმნიდა. ეს არის ორი პოლიტიკური ძალის ფარული გარიგება. ეს არის ძალაუფლებისა და ბიზნესზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით გარიგება.

**— „ნაციონალების“ დროს ვიცოდით, რომ გოგორიშვილი და მაჭავარიანი იყვნენ მთავარი გამყალბებლები. შეგიძლიათ, თქვათ, ახლა ვინ აყალბებს ამ არჩევნებს?**

– ჯერ ერთი, გოგორიშვილი ისევ მონაწილეობს საარჩევნო სისტემაში და ინტელექტუალურ დახმარებას რომ უწევდეს „ქართულ ოცნებას“, არც ის იქნება უცხო. ახალ-ახალი ტექნოლოგიების მოგონების სპეციალისტია, თუმცა არანაირ ახალ ტექნოლოგიას არ ჰქონია ადგილი, ძველი, ნაცადი ხერხებით მოხდა გაყალბება. ხმების ქურდობა ადრეც იყო და ახლაც იქურდეს, ადრეც იყო ბათილი ბიულეტენები, მაგრამ ახლა ამან ტოტალური სახე მიიღო. გაათმაგებულია ეს პროცესი წინა არჩევნებთან შედარებით. ეს შემთხვევითი არ არის. ჩვეული კარუსელი, რომელიც ერთ საარჩევნო უბანზე მოხდა, იყო ძალიან საინტერესო. „ოცნებამაც“ გადაიღო, „ნაციონალებმაც“ და ერთი და იგივე ვიდეო სათავისოდ გამოიყენეს. წაიკინკლავეს რაღაცაზე და ამ ვიდეოთი პიარი გაიკეთეს. რომ არ წაკინკლავებულიყვნენ, ორივეს შერჩებოდა ეს გაყალბება, რადგან იმ დროს ორივემ იცოდა, რომ აყალბებდნენ, მაგრამ შეთანხმებულად მოქმედებდნენ. კიდევ ერთი დარღვევა, რაც იყო, არის ის, რომ ოქმები დაუბალანსებელი იყო. საქმე ისაა, რომ მომსვლელთა რაოდენობა აღებული ხმების რაოდენობას არ ემთხვეოდა. აი, აქ ნათლად ჩანს ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის ფაქტი.

**— ბურჯანაძემ თქვა, რომ ხელისუფლებას ეს არ შერჩება. რას აპირებთ?**

– ჩვენ თუ რამეს ვაპირებთ, ხალხთან ერთად ვაპირებთ. მეც ვადასტურებ, რომ ეს არ შერჩება ხელისუფლებას. ჩვენ ახლა ვიბრძვით სამართლებრივი მეთოდებით, ვცდილობთ, მივაღწიოთ ხმების გადათვლას მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, გარკვეულ ოლქებში სასამართლოს მეშვეობით შედეგების მიღწევას ვცდილობთ. თუმცა ნაკლებად გვაქვს იმედი, რომ „ნაცებისა“ და „ოცნების“ მიერ კონტროლირებული სასამართლო რაიმე ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ ეს დრო საჭიროა, რომ იმედი ამოვწუროთ. წინ გვაქვს მეორე ტური, სადაც რამდენიმე ოლქში უეჭველად ვგეგმავთ გამარჯვებას, მაგრამ თუ ყველაფერმა ამან არ გაჭრა, გამოვიყენებთ კონსტიტუციურ უფლებას და სხვა პოლიტიკურ ინსტრუმენტებს ჩავრთავთ ამ ბრძოლაში.

**— აქციებს დაიწყებთ?**

– მათ შორის აქციებს, ხალხს დიდი ძალა აქვს. იმიტომაც, რომ ხალხი უნდა მონაწილეობდეს საკუთარი ბედის გადაწყვეტაში.

**— მალე „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით სახალხო მოძრაობის დაწყებას აპირებენ. ეთანხმებით მათ?**

– ჩვენ არ ვცნობთ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პოლიტიკურ ძალას. ის არის დამნაშავე პირთა გაერთიანება. ამ ადამიანების ადგილი პოლიტიკურ სივრცეში კი არა, სასამართლო დარბაზშია. ამიტომ ამის შიში აქვთ და მუდმივად ცდილობენ, იყვნენ გარიგებული „ქართულ ოცნებასთან“. ხანდახან დგამენ სპექტაკლებს ეკრანზე, ვითომ დაპირისპირებულები არიან, სიმულანტობენ, რომ ხალხი გაართონ და საკუთარ ამომრჩეველსაც ატყუებენ, რომ ერთმანეთში ჩხუბობენ. ცალკეული ადამიანები, ვინც „ოცნებაშია“, ამას ვერ ეგუება, მაგრამ ისინი ვერ დომინირებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ვერც „ოცნების“ გადაწყვეტილებებს აკეთილშობილებენ. ყოველი დღე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენისა, არის ხალხისთვის საზიანო. დასრულდა არჩევნები და 350%-იანი პრემიები გამოიწერეს, ასეთი უნამუსო ხელისუფლება ჯერ არ გვყოლია, თუმცა ნამუსიანი ხელისუფლებები რომ არ გვყავდა, ესეც ვიცით, მაგრამ ამ ხარისხის უნამუსობა და უტიფრობა რთული გასახსენებელია. ღია და აშკარა ხაზინის ქურდები გვყავს ხელისუფლებაში.

**— ადრე მითხარით, რომ დაიწყებდით ბრძოლას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის. გაგიყალბეს ხმები და მეტი რაღა გინდათ. იწყებთ თუ რა ბოლოს და ბოლოს?**

– ის, რომ ვადამდელი არჩევნები აუცილებელია, 2012 წლის არჩევნებიდან მალე გამოჩნდა. ვფიქრობ, რომ უკვე სიტუაცია მომწიფდა და კულმინაცია იქნება შემოდგომაზე. მეტი სიმწვავე და აქტუალობა შეიძინა ამ თემამ. ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, ამ გზით მიიღო არალეგიტიმური ადგილობრივი ხელისუფლება.

**— „ნაცმოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნას შეუერთდებით?**

– რაც შეეხება „ნაციონალების“ აკრძალვას, იურიდიული პირები დანაშაულს არ სჩადიან, სჩადიან კერძო პირები, ამიტომ ეს ადამიანები უნდა იყვნენ გასამართლებულნი და იურიდიული პირი ავტომატურად გაუქმდება, იმიტომ, რომ მათ ძირითად ნაწილს მოუწევს სასამართლო დარბაზებში საბრალდებო სკამდე ჯდომა.

**„ჩვენ არ ვცნობთ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პოლიტიკურ ძალას. ის არის დამნაშავე პირთა გაერთიანება. ამ ადამიანების ადგილი პოლიტიკურ სივრცეში კი არა, სასამართლო დარბაზშია. ამიტომ ამის შიში აქვთ და მუდმივად ცდილობენ, იყვნენ გარიგებული „ქართულ ოცნებასთან“**

**„ყოველი დღე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენისა, არის ხალხისთვის საზიანო. დასრულდა არჩევნები და 350%-იანი პრემიები გამოიწერეს, ასეთი უნამუსო ხელისუფლება ჯერ არ გვყოლია, თუმცა ნამუსიანი ხელისუფლებები რომ არ გვყავდა, ესეც ვიცით, მაგრამ ამ ხარისხის უნამუსობა და უტიფრობა რთული გასახსენებელია. ღია და აშკარა ხაზინის ქურდები გვყავს ხელისუფლებაში“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სამართალდამცავებმა „პრივატბანკის“ ყოფილი თანამშრომელი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სს „პრივატბანკის“ ყოფილი თანამშრომელი, შოთა მარტყოფლიშვილი და მისი თანამზრახველი ვახტანგ ბარათაშვილი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2013 წლის დეკემბერში, „პრივატბანკში“ ფინანსურ მენეჯერად მუშაობის პერიოდში, შოთა მარტყოფლიშვილი და ვახტანგ ბარათაშვილი მოქალაქეებს ატყუებდნენ, თითქოს „საახალწლო აქციის“ ფარგლებში ბანკი მათ 50-დან 200 ლარამდე თანხას საჩუქრად ჩაურიცხავდა, რისთვისაც საჭირო იყო პირადობის მოწმობის ბანკში წარდგენა.

მოწმობის წარდგენის შემდეგ, მარტყოფლიშვილი მოქალაქეთა სახელზე ავსებდა სესხის განაცხადს, მოქალაქეებს კვლავ ატყუებდა, რომ მათ ვერ მიიღეს ე.წ. „საახალწლო აქციის“ თანხა, ხოლო რეალურად დაზარალებულთა სახელზე დამტკიცებული სესხის თანხას თაღლითურად ეუფლებოდნენ პლასტიკური ბარათებიდან ფულის განაღდების გზით.

ამ ეტაპზე დადგენილია ათეულობით მოქალაქის სახელზე დამტკიცებული დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტი. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე. (ნიუპოსტი)

## სარფში იარაღის უკანონო შემოტანის მცდელობა აღკვეთეს



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 25 ივნისს, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს. ამოღებულია ერთი ერთეული **BERETTA**-ს ტიპის იარაღი, ერთი ცალი მჭიდითა და ორი ვაზნით. მებაჟე ოფიცრებმა იარაღი და ვაზნები თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ო.-ს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისას აღმოაჩინეს. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას გადაეცა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მაშველებმა 60 წლის ქალბატონის სიცოცხლე იხსნეს



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ ჭეშოდან დაშავებული ქალბატონი ვერტმფრენით თბილისში ჩამოიყვანეს.

ახმეტის რაიონის მაცხოვრებელმა 60 წლის ქალბატონმა თავის არეში ტრავმა მიიღო და მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ჰოსპიტალიზაცია. სოფელ ჭეშოს რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და გზის მდგომარეობის გამო, დაშავებული ქალბატონის ჰოსპიტალიზება ვერ მოხერხდა. შსს-ს მაშველებმა ქალბატონი თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც იგი რეანიმობილით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. (ნიუპოსტი)

## სცემეს თუ არა პოლიციელებმა 21 წლის ახალგაზრდა გურჯაანში?




გურჯაანში 21 წლის ახალგაზრდა სამართალდამცველებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილი აცხადებს, ინფორმაცია, ახალგაზრდას ახლობელმა მიაწოდა.

„გელა, გამარჯობა, შემთხვევით ხომ არ იცი, გურჯაანის პოლიციის შენობაში შიგნით კამერები თუ დგას? დღეს ჩემი მეგობარი, 21 წლის ახალგაზრდა დაიბარეს. პოლიციის უფროსმა ლაშა გოგნიაშვილმა და კიდევ ერთმა გამომძიებელმა (სახელი არ ვიცი) სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს კიდეც, მხოლოდ იმიტომ რომ 2 საათი ალოდინეს და ჩემა მეგობარმა პრეტენზია გამოთქვა. იქნებ ადამიანის უფლებათა დამცველ რომელიმე ორგანიზაციისთვის მიმემართა და თუ ეს კამერები არსებობს, ჩანაწერი გამოგვეთხოვა.

ჩემი პასუხი: კამერას რომ გადაეღო, წაშლიან ან იტყვიან, კამერა არ მუშაობდაო! ასეთია პრაქტიკა“, – წერს გელა მთივლიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს. (ნიუპოსტი)

**„ალიას“ ესაუბრება“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი დავით ფერაძე:**

**— მე-11 და მე-12 კლასელთა გამოცდები, როგორც განათლების ექსპერტები ამბობენ, დარღვევებით ჩატარდა. ეროვნულ გამოცდებზე რა ხდება, მართლა ისე კარგადაა საქმე, როგორც განათლების სამინისტრო გვიცხადებს?**

– 26 ივნისს დაიწყო ერთიანი ეროვნული გამოცდები უმაღლესებში და ჯერ ძნელია ანალიზის გაკეთება, მაგრამ თუ გადავხედავთ აქამდე მომხდარ მოვლენებს, რა შედეგებით დამთავრდა საატესტატო გამოცდები, და შევადარებთ 26 ივნისს ჩატარებულ გამოცდას, გარკვეული დასკვნა შეიძლება, გავაკეთოთ, რომ მთლად დალაგებულად არ ჩატარდება „ეროვნული“. პრობლემა ისაა, რომ ეროვნული გამოცდების პროგრამები ქვეყნდება შემოდგომით, მაგრამ იქიდან მოყოლებული, სანამ გამოცდები მოახლოვდებოდა, რამდენჯერმე შეიტანეს საგამოცდო პროგრამაში ცვლილება და ეს არის ყოვლად დაუშვებელი, რადგანაც ბავშვი მიყვება პროგრამას დეკემბრიდან, უცებ აღმოაჩენს, რომ შეცვლილია, გადის დრო, ახლოვდება აპრილი და უცებ აღმოაჩენს, რომ ისევ ცვლილებაა პროგრამაში და აჰა, როგორც იქნა, მოახლოვდა გამოცდები და უცებ, სულ ახლა, ორი დღით ადრე აღმოაჩინეს, რომ ისევ ცვლილებაა პროგრამაში. რა, არ არის ეს დარღვევა? ასევე, დარღვევაა ის ფაქტიც, რომ, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, არ არსებობს ნორმატიული აქტი, რაც ამ პროგრამებს დაარეგულირებდა და ცვლილება რომ რამდენჯერმე ხდება, ეს არ უნდა იცოდეს აბიტურიენტმა? არ შეიძლებოდა, ბავშვი ამ ცვლილების მიხედვით ყოფილიყო მომზადებული თავის დროზე?

ამას თავი დავანებოთ, ძალიან ბევრი საკითხი სცილდება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც, როგორც წესი, მუშაობენ სკოლები და ატარებენ გაკვეთილებს პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე. შესაბამისად, ეროვნული გამოცდების პროგრამაც უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და არ უნდა სცილდებოდეს მას, და თუკი გადაცდომას აქვს ადგილი, ჩვენ უკვე ვუშვებთ იმ ფაქტს, რომ ბავშვი სხვაგან უნდა მოემზადოს.

**— მაგრამ ეროვნული გამოცდები და ეროვნული სასწავლო გეგმა ხომ სწორედ იმას გულისხმობს, რომ ბავშვს არ უნდა დასჭირდეს სხვაგან მომზადება და სკოლიდან საგანი ისე უნდა იცოდეს, რომ დამოუკიდებლად ჩააბაროს უმაღლესში?**

– თუ მასეა, პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს არაფრით შეიძლება, გასცდეს. მეორე პრობლემა კი ისაა, რომ აგერ, ყოველ წუთს ცვლილებები შეაქვთ. ორი დღის წინ ითქვა, შეგნებული შეცდომები რომ იყო მითითებული ტესტში, ახლა ასე არ იქნება და აბიტურიენტმა თავად უნდა გამოიცნოს, რამდენი შეცდომაა მოყვანილიო. გარდა ამისა, გამოცდიდან გამოსულმა აბიტურიენტებმა მითხრეს, რომ თავად ტესტები იყო შეცდომებითო.

**— კონკრეტულად დაასახელეს ეს მაგალითები?**

– იგივე დამისახელეს, რაც საატესტატო გამოცდებში იყო. მაგალითად, ორი ერთნაირი სავარაუდო პასუხი იყოო და ეს შეცდომაა. როგორ შეიძლება, გამოცდაზე ერთნაირი სავარაუდო პასუხები? საერთოდ,



# ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებში შეცდომები ყოფილა



„რამდენჯერმე შეიტანეს საგამოცდო პროგრამაში ცვლილება და ეს არის ყოვლად დაუშვებელი, რადგანაც ბავშვი მიყვება პროგრამას დეკემბრიდან, უცებ აღმოაჩენს, რომ შეცვლილია, გადის დრო, ახლოვდება აპრილი და უცებ აღმოაჩენს, რომ ისევ ცვლილებაა პროგრამაში და აჰა, როგორც იქნა, მოახლოვდა გამოცდები და უცებ, სულ ახლა, ორი დღით ადრე აღმოაჩინეს, რომ ისევ ცვლილებაა პროგრამაში“

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აბიტურიენტმა, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, გამოცდის დასასრულებლად 15 წუთი ითხოვა



ტექნიკურ უნივერსიტეტში განთავსებულ საგამოცდო ცენტრში, ერთ-ერთი აბიტურიენტი შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო.

საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორ თამაზ კუპატაძის თქმით, აბიტურიენტმა განაცხადა, რომ მას სჭირდებოდა მხოლოდ 15 წუთი გამოცდის დასამთავრებლად. ადმინისტრაციამ ამის გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. მშობელიც ითხოვდა 15 წუთს. გამოცდის შემდეგ აბიტურიენტი სასწრაფო დახმარებამ კლინიკაში გადაიყვანა. (ნიუპოსტი)

## „პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი იწყება“

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ დოლიძის განცხადებით:



„რეალურად პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი იწყება. ერთი მხრივ, ეს გამოწვევაც არის, რადგან ყველაზე მთავარი მისი განხორციელება და იმპლემენტაციაა. ეს გამოწვევა ჩვენ ძალიან ბევრ საშუალებას გვიხსნის იმისთვის, რომ ეკონომიკურ სექტორში, სოციალურ, ჯანდაცვით, ასევე გარემოს დაცვით სექტორში, მათ შორის გარემოს დაცვით სექტორში განვახორციელოთ რეფორმები და ავაშენოთ რეალურად ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო და ამავე დროს ვაშენოთ ინსტიტუტები ოღონდ სისტემურად და არა ისე, როგორც აქამდე შენდებოდა, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის და შემდეგ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## „არც ერთ დარგში კლება არ არის დაფიქსირებული“

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელთა ბრუნვა 2014 წლის იანვარ-მაისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,9%-ით გაიზარდა, ხოლო მაისში, წინა წლის მაისთან შედარებით, – 11,6%-ით.

„არც ერთ დარგში, მაისის განმავლობაში კლება არ არის დაფიქსირებული და დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელთა ბრუნვა არის 11,6%-ით გაზრდილი შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასევე გასული წლის ხუთ თვესთან შედარებით მიმდინარე წლის ხუთ თვეში, ეკონომიკური აქტივობა გაზრდილია 12,9%-ით. მათ შორის, მშენებლობა გაზრდილია 26,2%-ით, სოფლის მეურნეობა 23,7%-ით, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით გაზრდილია 17%-ით, სამთო მოპოვებასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში ზრდა შეადგენს 11,5%-ს, ხოლო ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სფეროში ზრდა არის 9,7%“, – განმარტა ფინანსთა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## სამართალდამცველებმა სამი შპს-ს დირექტორი დააკავეს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქონებრივი დაზიანებისა და ჯგუფურად ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადების ფაქტზე, შპს „**RED STAR**“-ის დირექტორი მერაბ არეშიძე, შპს „გულადის“ დირექტორი“ ჯამბულ ჭუმბურიძე და შპს „ირაკლის“ დირექტორი გიორგი მუმლაძე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მერაბ არეშიძემ, ჯამბულ ჭუმბურიძემ და გიორგი მუმლაძემ იმისთვის, რომ საქონლის იმპორტირებისას ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდისთვის თავი აერიდებინათ და სახელმწიფოს ვერ მოეხდინა დარიცხული გადასახადის ამოღება, სოციალურად დაუცველ, არარეზიდენტ და ხშირ შემთხვევაში, ნასამართლევ პირებს სხვადასხვა შპს-ები დააფუძნებინეს, აღნიშნული შპს-ები საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვისას გადახდის უუნაროები არიან. ამ საწარმოების სახელით, საქართველოში იმპორტირებული იქნა 803 680 ლარის სხვადასხვა დასახელების ხილ-ბოსტნეული, რომელთა განბაჟებიდან 5 დღის გასვლის მიუხედავად, ზემოაღნიშნული პირების მიერ არ იქნა გადახდილი იმპორტის გადასახადი, რითაც, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტს 265 048 ლარის ზიანი მიადგა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

როცა ტესტი დგება, ეროვნული გამოცდების ცენტრში ჩემზე კარგად იციან, ამას თავისი პრინციპი და წესები აქვს. უკვე მივადექით იმ საკითხს, რომ თუ ასე დაიწყო ეს ეროვნული გამოცდები, გამოდის, რომ, რაც საატესტატო გამოცდების დროს ხდებოდა, იგივენაირად წავა ეს გამოცდებიც. მაგრამ მე უფრო ვფიქრობ, რომ ეს ხარვეზი კი არა, შეგნებულად შემუშავებული ალგორითმია: ნახეთ, რა მოხდა საატესტატო გამოცდებზე: იქ მოსწავლეები არც უნდა ჩაჭრილიყვნენ და არც კონკრეტულ ქულაზე მეტი არ უნდა მიეღოთ, ეს იყო განსაზღვრული შვიდი ქულა.

— **რატომ?**

– თუ ჩაჭრიდნენ, მაშინ ამდენი მომავალი აბიტურიენტი ძლიერი მასაა და დიდ წინააღმდეგობას შეხვდებოდნენ, თუმცა, გარკვეულ წინააღმდეგობას ესენი მაინც შეხვდნენ, და თუკი დიდი რაოდენობით მიიღებდნენ ბავშვები მაღალ ქულებს, ეს არ აძლევდათ ხელს. რადგანაც პედაგოგის კვალიფიკაცია თურმე უნდა შეფასდეს მოსწავლის მოსწრების შედეგად და თუკი ჩვენ მივიღებდით მაღალ ქულებს, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ პროფესიონალი პედაგოგები გვყოლია, მაგრამ, თავის მხრივ, თუკი ამდენი პროფესიონალი გყავს, მაშინ რაღა საჭიროა სერტიფიკაციის გამოცდები? აი, აქეთ მიდის ყველაფერი, საბოლოოდ რა უნდა დაიჭირონ ხელში და რა უნდა თქვან? ხედავთ, რა ხდება? საატესტატო გამოცდები ამ ბავშვებმა ვერ ჩააბარეს, რა, 6 და 7 ქულაზე მეტი არ უნდა მიეღოთ? უმცირესია იმ ბავშვების რაოდენობა, ვინც 9 ქულა მიიღო და ამით შეუძლიათ, დასცხონ პედაგოგებს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ 70 000 პედაგოგიდან ყველა კრისტალურად სუფთა და უნიკალურია, მაგრამ არც ისეთი კატასტროფა გვაქვს, როგორც ამათ უნდათ, წარმოადგინონ.



„ეროვნული საგამოცდო ცენტრი, წესით, ექვემდებარება პრემიერს, მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, თავად მიმინოშვილი „ნაცების“ გადმონაშთი არ არის? იქ ზოგიერთი ფარულად არის შეპარული და ზოგიერთი გაცხადებული „ნაციონალია“, მაგრამ ორმაგ თამაშს თამაშობს“

— **ანუ, ბოლოს და ბოლოს მივდივართ ხელფასების პრობლემასთან?**

– აბა, რაა! მათ ახლა აქვთ იმის თქმის საშუალება, რომ რაც ხართ, ისინიც არ უნდა გაჩერდეთ სკოლებშიო. მახსოვს, საჯარო ბიბლიოთეკაში რა მითხრა სანიკიძემ პედაგოგებთან შეხვედრისას, რომ ჯერ პროფესიონალიზმი აიმაღლეთ და მერე ვილაპარაკოთ ხელფასების მომატებაზეო. ესეც უკავშირდება ეროვნულ გამოცდებს: აქამდე, რაც კი ჩატარებულა ეს გამოცდები, ძალიან კარგ შედეგებს ვიღებდით ხოლმე ჩვენ, ყოველ შემთხვევაში ნორმალური შედეგები იყო, ეს იყო იმ მასწავლებლების დამსახურება, რომლებიც სკოლაშიც მუშაობენ და აბიტურიენტებთანაც, რადგანაც ისე დააყენეს ამათ საქმე, რომ სხვანაირად პედაგოგს თავის გადარჩენა არ შეუძლია.

— **კი, მაგრამ რეპეტიტორობა რომ კანონით აკრძალულია?**

– რა თქმა უნდა, აკრძალულია, მაგრამ სინამდვილეში რაც ხდება, ესეც ხომ კარგად იცით? ვიცით, რომ მოსამზადებელი ცენტრებია გახსნილი და ამას იქ ოფიციალური სახე აქვს და რეგისტრაციაში გატარებულებს, თავისი მიზანი აქვთ მუშაობის. ანუ, კანონიერია ეს ცენტრები. კი, კერძო რეპეტიტორობა აკრძალულია, მაგრამ ამაშიც ვერ ვამტყუნებთ ვერავის, ეს ყველა ქვეყანაში აპრობირებული და მიღებული მეთოდია, იმის მიუხედავად, რომ მათთან შედარებით სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი ხელფასები. ჩვენთან კი ამას აკრძალვითი ფორმა აქვს და ასეთი პედაგოგი იბეგრება.

დავუბრუნდეთ გამოცდებს, არსებული ვითარება და დაბალი შეფასებების არსებობა იმის მანიშნებელი ხომ არ არის, რომ არ სურთ მომავალ სტუდენტებზე სახელმწიფო გრანტების გაცემა და უნდათ, ნაკლები დაფინანსება გაიცეს? აქედან გამომდინარეა სწორედ ეს ამდენი ცვლილებები და ახალგაზრდების დაბნევა. ამის მცდელობა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა აბიტურიენტები შევიდნენ გამოცდაზე და იქ ისტორიის ტესტში პოლიტიკური კარიკატურა დახვდათ. მანამდე მსგავსი ეროვნულ პროგრამაში ნამდვილად არ იყო და ამან აბიტურიენტები დააბნია. ამიტომ ვამბობ, რომ წელს ჯერ გამოცდები მხოლოდ დაიწყო და რამდენი ასეთი „კარიკატურა“ დახვდებათ მათ გამოცდაზე, უცნობია.



„მაგაზე დიდი ხანია, მიდის ლაპარაკი. ჯერ ამბობდნენ, რომ ადგილობრივი არჩევნები ჩაივლიდა თუ არა, სანიკიძეს მანდედან მოიშორებდნენ, მაგრამ რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ვერავის ითანხმებენ მაგ სამინისტროში ხელმძღვანელად წასვლაზე“

— **ვისი ინიციატივაა ასეთი ტესტები?**

– ეროვნული საგამოცდო ცენტრი, წესით, ექვემდებარება პრემიერს, მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, თავად მიმინოშვილი „ნაცების“ გადმონაშთი არ არის? იქ ზოგიერთი ფარულად არის შეპარული და ზოგიერთი გაცხადებული „ნაციონალია“, მაგრამ ორმაგ თამაშს თამაშობს.

— **კულუარებში საუბარია სანიკიძის გადაყვანაზე ამ სამინისტროდან.**

– მაგაზე დიდი ხანია, მიდის ლაპარაკი. ჯერ ამბობდნენ, რომ ადგილობრივი არჩევნები ჩაივლიდა თუ არა, სანიკიძეს მანდედან მოიშორებდნენ, მაგრამ რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ვერავის ითანხმებენ მაგ სამინისტროში ხელმძღვანელად წასვლაზე.

— **რა, მინისტრის ადგილი არავის უნდა?**

– ეტყობა, იმდენად დიდ კატასტროფამდე მივიდა ჩვენი განათლების საქმე, რომ არავინ რისკავს, ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი და ამას ვერ კიდებენ ხელს. გაგახსენებთ, ათათურქმა განათლებაში რომ ჩადო თანხები, ჩამორჩენილი თურქეთი ნახევარ საუკუნეში გადაიქცა ევროპულ ქვეყნად, ის ადამიანი მიხვდა ქვეყნის პრობლემას და ჩვენი პრობლემაც აქ არის. ჭკვიანი კაცი ხვდება, რომ მინისტრობის შემთხვევაში კი დაიწყებს, მაგრამ ბოლომდე თუ არ გაატანინეს ეს საქმე, არ გამოვა და ამიტომ იკავებენ თავს, თან თავად ერთი პიროვნების შეცვლა არაფერს შეცვლის, თუ სისტემა არ შეიცვალა.

— **რას გულისხმობთ?**

– ისევ და ისევ ხელფასების გაზრდას. ეს ხომ სრულიად შესაძლებელია, იმ ფონზე ამხელა პრემიებს რომ ინიშნავენ თავისთვის, მასწავლებელი გარკვეული ინვესტიციაა და მშენებელია სკოლის და მას უნდა მისცე ფული, რომ ხარისხიანად აშენოს, თორემ მშიერი რას აგიშენებს? ვერავითარი სქემა და სერტიფიცირება ამ საქმეს ვერ უშველის. არ დაკვირვებიხართ, რატომ ხდება, რომ ერთი და იგივე პედაგოგის მოსწავლე შეიძლება იყოს დაბალი დონის, მაგრამ აბიტურიენტი მაღალი დონის ჰყავდეს? ხუთ ლარს რომ მისცემ გაკვეთილში, ის ხარისხიანად არ დაიხარჯება ბავშვთან კლასში, რადგანაც ასეთი მასწავლებელი თავის ენერგიას აბიტურიენტისათვის ზოგავს, რომელიც ას ლარს უხდის, ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალობაა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რუსეთს ყველაზე ნაკლები რესურსები საქართველოს წინააღმდეგ აქვს“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი სერგეი ლავროვის განცხადებას ეხმაურება:

„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იმ სახელმწიფოებს ეხება, ვინც ასოცირების ხელშეკრულებას ხელს აწერს. ესენია უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. აქედან გამომდინარე, ეს ზოგადი განცხადებაა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, რუსეთს ყველაზე ნაკლები რესურსები საქართველოს წინააღმდეგ აქვს, იმიტომ, რომ საქართველოს გონივრული და სწორი პოლიტიკის შედეგად, ჩვენ პრაქტიკულად რუსეთისგან დისტანცირებულები ვართ როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. ჩვენ არც დიპლომატიური ურთიერთობები გვაქვს. აქედან გამომდინარე, არ ველოდები, რომ რუსეთს შეუძლია საქართველო სერიოზულად დააზარალოს. თუმცა, ბუნებრივია, ამ განცხადებით ჩანს, რომ რუსეთს წარმოდგენები აქვს, რა მოხდება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ეკონომიკური მიმართულებით“, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი კი ფიქრობს, რომ:

„ეს ჩვენ კონკრეტულად არ გვეხება, რადგან დსთ-ის სივრცეში აღარ ვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები, სავაჭრო შეთანხმებები, რომლის რევიზია შესაძლებელია, უბრალოდ ეს ნორმალურ სამუშაო ატმოსფეროში უნდა მოხდეს და არა უხარისხო შანტაჟის ფორმით“.

ცნობისთვის, სერგეი ლავროვის თქმით, თუ ევროკავშირთან შეთანხმებას ნეგატიური შედეგები ექნება დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის, რუსეთი კანონებით განსაზღვრულ თავდაცვით ზომებს მიიღებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მთავრობამ დაახლოებით 3 500 ადამიანს საცხოვრებელი ფართი დაუკანონა



დევნილთა მინისტრის დავით დარახველიძის განცხადებით, „მთავრობამ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა და დევნილი საზოგადოების მხარდაჭერის თვალსაზრისით დიდი აქცია განახორციელა. ათასამდე ოჯახს საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში დაუკანონდათ, მათ შორის ისეთ პრესტიჟულ უბნებში, როგორიცაა წყნეთის, თბილისის ზღვის დასახლება. ამ აქციის შედეგად, თითქმის 3 500-ზე მეტი ადამიანი სერიოზული კაპიტალის მფლობელი გახდა“, – განაცხადა დარახველიძემ. (ნიუპოსტი)



## არჩევნების მეორე ტური დაახლოებით 5 მილიონი ლარი დაჯდებაო

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის საჭირო თანხების საკითხი უკვე გაირკვა. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით:

„წინასწარი გაანგარიშებით, არჩევნების მეორე ტური დაახლოებით 5 მილიონი ლარი დაჯდება. 1 600 000 ლარზე მეტი ცესკო-ს ანგარიშზე ნაშთი დარჩა, რომელსაც ის გამოიყენებს. დამატებით 3 მილიონი ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა. არჩევნების დასრულების შემდეგ, როცა ზუსტი ინფორმაცია გვექნება, შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ“, – განმარტა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# არჩევნების გაყალბებას ერთი მეთოდიც შეემატა

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო თერთმეტმა არასაპარლამენტო პარტიამ ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ამ პარტიების ლიდერები არჩევნებს ტოტალურად გაყალბებულად აცხადებენ და ხელისუფლებისგან მოითხოვენ, სადავო საარჩევნო უბნებში ხმების ხელახლა გადათვლასა და განმეორებით კენჭისყრას, საპარლამენტო კომისიის შექმნას, რომელიც არჩევნების გაყალბების ფაქტებს შეისწავლის და გამყალბებლებზე სისხლის სამართლის საქმეებს აღძრავს. კი, ბატონო, შთამბეჭდავი და ერთობ რიხიანი მოთხოვნებია, მაგრამ უამრავ გაყალბებულ არჩევნებს მოვესწარი და ჯერ კაცი არ მინახავს დასჯილი. არასაპარლამენტო ოპოზიციის ეს განცხადებაც განცხადებად დარჩება და ამ მთავარი სამი მოთხოვნიდან არც ერთი არ შესრულდება. თუმცა, მოვლენებს წინ აღარ გავუსწრებ და ვნახოთ, რისი იმედი აქვს თავად ამ განცხადების ერთ-ერთ ავტორს.

**„ალიას“ კოალიცია „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთ ლიდერი, მანანა ნაჭყებია ესაუბრა:**

**— ქალბატონო მანანა, ძალიან მკვეთრი და მკაცრი განცხადება გააკეთეთ, მოთხოვნებიც კატეგორიული გაქვთ, მაგრამ ხელისუფლებამ რომ თქვენი მოთხოვნები არ შეასრულოს, მერე რას აპირებთ? თუმცა, წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთ თქვენს მოთხოვნას არ შეასრულებენ — არც ვინმეს დასჯიან არჩევნების გაყალბების გამო, არც ხმებს გადაითვლიან ხელახლა და არც საპარლამენტო კომისიას შექმნიან. ეს ყველაფერი არჩევნების გაყალბების დადასტურებაა და ამას ცოცხალი თავით არ გააკეთებენ. მაინც რისი იმედი გაქვთ?**

– იმედი გვაქვს თუ არა, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ბრძოლა ყოველთვის უნდა გააგრძელო და ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ამ ხელისუფლებამ ვერ უნდა მოახერხოს დემოკრატიული იმიჯის შექმნა, ვითომ მართლა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩაატარა. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას და ეს განცხადებაც ამ ბრძოლის ნაწილია. ეს ბრძოლა სააპელაციო სასამართლოებში გრძელდება. ჩვენ ვარაუდს, თუ რა მეთოდებით გაყალბდა ეს არჩევნები, არასამთავრობო ორგანიზაციებიც ადასტურებენ.

**— კონკრეტულად რა მეთოდებით გაყალბდა?**

– ოქმების მესამედი არასწორად არის შედგენილი და ცხადია, ყველა ოქმში ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მაჟორიტარულ კანდიდატებს აქვთ ხმები ჩამოკლებული. უპრეცედენტოდ მაღალია გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა. კი, ეს ადრეც ხდებოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბით არა. 66 ათასი ბიულეტენია გაბათილებული, როცა სხვა არჩევნებზე არ აღემატებოდა 30 ათასს. ამას „ნაცმოძრაობაც“ არ კადრულობდა.

**— იმათ გაყალბების იმდენი და ისეთი მეთოდი ჰქონდათ, ეგ არ სჭირდებოდათ.**

– კი, ისინი რომ აყალბებდნენ, ეგ იყო გაყალბება თუ იყო, მაგრამ არც ესენი ჩამოუვარდებიან. ჩვენ, „არასაპარლამენტო ოპოზიციას“, განსაკუთრებით უსინდისოდ ახალქალაქში გაგვიყალბეს არჩევნები, ჩვენი გამგებლობის კანდიდატი არტაშ ფალანგიანი გამარჯვებულია, მაგრამ ყველა მესამე ბიულეტენი გაყალბებულია, გადასწორებულია.

**— ეგ გავიგე, ქალბატონო მანანა, მაგრამ ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა ხელისუფლება არჩევნებს აყალბებს. ამას სისტემატური ხასიათი მიეცა და შესაბამისად, წაგებული ოპოზიციური პარტიები მის შედეგებსაც მუდამ აპროტესტებენ, თუმცა, ამით არაფერი იცვლება — არც ხმებს ითვლიან ხელახლა და არც არავის სჯიან. ამჯერადაც ასე ხდება. პროტესტის უფრო ქმედით ღონისძიებებზე არ გიფიქრიათ?**

– თქვენ რას თვლით უფრო ქმედით ღონისძიებად?

**— მე არაფერს არ ვთვლი, თქვენი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი, კახა კუკავა არჩევნებამდე აანონსებდა, თუ არჩევნები გაყალბდა, ქუჩის აქციებს დავიწყებთო. აჰა, გაყალბდა აქციები, მაგრამ თქვენ ქუჩაში ვერ გხედავთ.**

– არა მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობა გაყალბებული არჩევნების გამო ქუჩაში გამოვიდეს. ხმების დასაცავად ჩვენ არ დაგვიტოვებია ბრძოლის არც ერთი მეთოდი, ქუჩის აქციებსაც მივმართეთ ახალქალაქში, ჩვენი კოალიციის ათასზე მეტი მომხრე ლამის ყოველდღე გამოდის და აპროტესტებს არჩევნების შედეგებს. ზედიზედ 3 დღე ძალიან მრავალრიცხოვანი აქციები გვქონდა და კახა კუკავაც იქ იყო.

**— ასაგებია, მაგრამ ახალქალაქის აქციები რეგიონს არ სცდება. კახა კუკავა მასშტაბურ საპროტესტო აქციებს გულისხმობდა.**

– დღეს საქართველოში გაყალბე-



**„ჩემდა სამწუხაროდ, მაჭავარიანსა და გოგორიშვილზე არანაკლებ არაპოპულარული სახელი შეიძინა ცესკო-ს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ჟვანიამ. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ იყო ნდობა, ჩვენც, „ახალმა მემარჯვენეებმაც“ გამოვუცხადეთ ნდობა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგენილი იყო. აღმოჩნდა, რომ ესეც ფარსია“**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები კონკურენტებს დებატებში იწვევენ



თვითმმართველ ქალაქებში, სადაც დანიშნულია არჩევნების მეორე ტური, მერობის კანდიდატების მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა შეიძინა სატელევიზიო დებატებმა. კოალიცია „ქართული ოცნების“ რუსთავის, ბათუმის, ფოთის, ოზურგეთის, გორის, თელავისა და მცხეთის მერობის კანდიდატები თავის კონკურენტებს სატელევიზიო დებატებს სთავაზობენ, რომლის დროსაც ჟურნალისტებს მიეცემათ საშუალება, დასვან სასურველი შეკითხვები და თითოეული კანდიდატისგან მიიღონ ამომწურავი პასუხები.

საარჩევნო ბლოკის განმარტებით, ეს ფორმატი შესაძლებელს გახდის, მოსახლეობის მაქსიმალურმა რაოდენობამ მოუსმინოს მერობის კანდიდატებს, უფრო მეტი გაიგოს მათი საარჩევნო პროგრამისა და სამომავლო გეგმების შესახებ, რაც მათ მნიშვნელოვნად გაუადვილებს საბოლოო არჩევანის გაკეთებას. (ნიუპოსტი)



## მარნეულში ორ უბანზე საოლქო კომისიამ არჩევნების შედეგები გააუქმა

მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შედეგად, №31 და №39 უბანზე არჩევნების შედეგები გააუქმა.

სულ 10 საარჩევნო უბნის ბიულეტენები გადაითვალეს. მარნეულის რამდენიმე საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ხელახალი გადათვლის მოთხოვნით, ბოლნისის სასამართლოში სარჩელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი ზონის“, „მომავლის არჩევანისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა გასულ კვირას შეიტანეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ექვს უბანზე მხოლოდ გამგებლის საარჩევნო ბიულეტენები გადაითვალა. წინასწარი ინფორმაციით, №31 და №39 უბნების შედეგების გაუქმება მარნეულში გამგებლის არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენას არ იქონიებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთში ატმის პირველი ნაკადი გაიგზავნა



ქართული ხილი რუსულ ბაზარზე გადის. ატმის პირველი პარტია კახეთიდან რუსეთში უკვე გაიგზავნა. ხილის ექსპორტიორმა კომპანია „ფრუიტილიამ“ საექსპორტოდ სოფელ ჩუმლაყში 60 ტონამდე ატამი და ვაშლატამა ადგილობრივი ფერმერებისგან იყიდა.

„პროდუქცია ქართველებთან ერთად შეამოწმეს რუსმა ფიტოსანიტარებმა და ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, აქედან გამომდინარე, ჩვენ პრობლემა არ შეგვქმნია. პირველი მანქანა უკვე დაიტვირთა და მზად არის, ვაგრძელებთ მუშაობას და ვაპირებთ გავიტანოთ 1000 ტონამდე ხილი. ფასები როგორ დარეგულირდება, იმის მიხედვით გავაგრძელებთ გატანას“, – განმარტა კომპანიის დამფუძნებელმა.

რუსეთის ბაზარზე ხილის გატანის უფლება ქართველმა და რუსმა ფიტოსანიტარებმა შესაბამისი სერტიფიკატით დაადასტურეს. (ნიუპოსტი)



## მთავრობამ პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი დაამტკიცა

საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს უფროსის ეკა ქარდავას თქმით, დადგენილების მიღება აუცილებელი გახდა, რადგან კანონში არაერთგვაროვნად იყო ასახული აღნიშნული საკითხი და პრემიერმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ის დარეგულირებულიყო. „შესაბამისად, დადგენილება მიღებულია და მისი შინაარსის შესახებ საზოგადოებას ძალიან მალე ეცნობება“. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ბული არჩევნების გამო, მოსახლეობა არ გამოვა, ძალით კი ვერავის გამოიყვან. თუმცა, ხელისუფლებას პროტესტი მაინც ელოდება. ჩვენ წინასაარჩევნოდ ლამის ნახევარი საქართველო მოვიარეთ, ხალხი ძალიან მძიმე ყოფაშია, უმძიმესი სოციალური ფონია ქვეყანაში და სავარაუდოდ, სწორედ სოციალურ ნიადაგზე მოხდება აფეთქება. ამ პროტესტს ეს ხელისუფლება ვერ აიცილებს, თუ სასწრაფოდ და კარდინალურად არ შეცვალა მდგომარეობა სოციალურ სფეროში. ამას ნამდვილად არ ვისურვებ, მაგრამ ხალხის მდგომარეობა და განწყობა ამას მაფიქრებინებს. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ხელისუფლების ვერც რესურსს, ვერც ნებას, რომ ეს უმძიმესი სოციალური მდგომარეობა შეცვალოს.

**— თუ იცით, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოვა გაყალბებული არჩევნების გამო, მრჩება შთაბეჭდილება, რომ შეგუებულნი ხართ ამ არჩევნების შედეგებსაც, რადგან ხელისუფლება თქვენს მოთხოვნებს არ შეასრულებს, ამის ნიშნებიც კი არ ჩანს.**

– კი, ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ეს ასეა. ქუჩის აქციებმა სრული დისკრედიტაცია განიცადა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს. თქვენც გახსოვთ, გაყალბებული არჩევნების შედეგების გამო როგორ ვიბრძოდით „ნაცმოძრაობის“ დროს, ხალხი მაშინ გამოვიდა ქუჩაში და არაერთხელ, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. შესაბამისად, ხმების დაცვის ეს მეთოდი დისკრედიტებულია და მის იმედად ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს. კი, ჩვენ ვაანონსებდით, რომ არჩევნების გაყალბების შემდეგ, შესაძლოა, ქუჩაშიც გამოვსულიყავით, მაგრამ წინასაარჩევნოდ ხალხის განწყობა სხვა იყო და ახლა სხვაა. დღეს ხალხი ქუჩაში არ გამოვა.

ეს არჩევნები სხვა წინა არჩევნებისგან ბევრად არ განსხვავდებოდა. სიები არ შეცვლილა, საარჩევნო სისტემა არ შეცვლილა, პარტიების დაფინანსების წესი არ შეცვლილა და არც გაყალბების გამო დასჯილა ვინმე. კი, ეს ყველაფერი შეიძლება შერჩეთ, მაგრამ ვიმეორებ, სოციალურ პროტესტს ვერ გადაურჩებიან და თან გადაყვებიან. არა მგონია, ამათაც „ნაციონალებივით“ 9 წელი გაძლონ ხელისუფლებაში.

**— როგორც მახსოვს, თავის დროზე. ცესკოს თავმჯდომარედ თამარ ჟვანიას დანიშვნას არასაპარლამენტო პარტიები დადებითად აფასებდით. ახლა რას იტყვით?**

– ჩემდა სამწუხაროდ, მაჭავარიანსა და გოგორიშვილზე არანაკლებ არაპოპულარული სახელი შეიძინა ცესკო-ს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ჟვანიამ. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ იყო ნდობა, ჩვენც, „ახალმა მემარჯვენეებმაც“ გამოვუცხადეთ ნდობა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგენილი იყო. აღმოჩნდა, რომ ესეც ფარსია და რაც არ უნდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგენილი იყოს, ხელისუფლების დაკვეთა პირნათლად შეასრულა ცესკო-მ და ცხადია, ეს თამარ ჟვანიას თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა. ახალქალაქში 3 დღე 1000 კაცი იდგა ქუჩაში და არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა, მაგრამ არც თამარ ჟვანია, არც ცესკო-ს სხვა წარმომადგენელი არ ჩასულა იქ და არ უცდიათ საქმეში გარკვევა. რა თქმა უნდა, გაყალბების ტექნოლოგები ჰყავს „ქართულ ოცნებას“, აი, ისეთები, მაჭავარიანი და გოგორიშვილი რომ არიან, მაგრამ ჯერ არ ჩანან, მერე გავიგებთ მათ ვინაობას. ადრე არჩევნები ყალბდებოდა, მაგრამ ვინ აკეთებდა ამას, არ ვიცოდით, მერე გავიგეთ, რომ მთელი იმ უბედურების ავტორები მაჭავარიანი და გოგორიშვილი ყოფილან. ახლაც ასე მოხდება, ხელისუფლების მთავარი გამყალბებლების ვინაობაც მალე გამოაშკარავდება. მანამდე კი ეს სტატუსი დამსახურებულად ეკუთვნის თამარ ჟვანიას.

სამწუხარო ის არის, რომ „მოქკავშირის“ და „ნაცმოძრაობის“ ტრადიცია წარმატებით გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ“, არანაკლები მასშტაბით გააყალბა არჩევნები და ბიულეტენების ტოტალურად გაბათილებით, იმ მეთოდებს, რაც ადრე გვქონდა, არჩევნების გაყალბების ერთი მეთოდიც შემატა.





**„რა თქმა უნდა, გაყალბების ტექნოლოგები ჰყავს „ქართულ ოცნებას“, აი, ისეთები, მაჭავარიანი და გოგორიშვილი რომ არიან, მაგრამ ჯერ არ ჩანან, მერე გავიგებთ მათ ვინაობას. ადრე არჩევნები ყალბდებოდა, მაგრამ ვინ აკეთებდა ამას, არ ვიცოდით, მერე გავიგეთ, რომ მთელი იმ უბედურების ავტორები მაჭავარიანი და გოგორიშვილი ყოფილან“**

**„სამწუხარო ის არის, რომ „მოქკავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“ ტრადიცია წარმატებით გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ“, არანაკლები მასშტაბით გააყალბა არჩევნები და ბიულეტენების ტოტალურად გაბათილებით, იმ მეთოდებს, რაც ადრე გვქონდა, არჩევნების გაყალბების ერთი მეთოდიც შემატა“**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მალე ჩვენ გარეთ გამოვალთ და თქვენ ვისთან აპირებთ დგომას?“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკში“ პოლიტიკურ პოსტს აქვეყნებს:

„დროის ერთი და იგივე მონაკვეთში:

1. აფხაზეთში თამაშდება სპექტაკლი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მის „ოპოზიციას“ შორის – ერთი მეორეს ზედმეტ დამოუკიდებლობასა და რუსეთთან არასაკმარის ინტეგრირებაში სდებს ბრალს(?!), რის შედეგადაც იცვლება დავის საგანი და საქართველოს თემა ქრება: სადავო ხდება ის, სად და როგორი უნდა იყოს აფხაზეთი – დამოუკიდებელი თუ რუსეთის ნაწილი, და ამ დავაში დასავლეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს!

2. ცხინვალში ტარდება რეფერენდუმი ჩრდილოეთ ოსეთთან, ანუ რუსეთთან მიერთების თაობაზე – ანალოგიური სიტუაცია, სადაც საქართველოს თემა აღარ არსებობს!

3. ქოც-ნაცები ცოტა ხნით ადრე ოსი და აფხაზი ხალხის თავისუფალი ნების პატივისცემაზე საუბრობენ!

4. რესპუბლიკელებს პროგრამაში პირდაპირ უდევთ სამი „ქართული“ სახელმწიფო(?!)!

5. ალასანია ამავე პერიოდში ახშირებს საზეიმო განცხადებებს საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზებისა და რადარების განთავსების თაობაზე რუსეთის წინააღმდეგ!

6. ამავე პერიოდში, 27 ივნისს, საქართველოს მარიონეტული ქოც-ნაცური ხელისუფლება ხელს აწერს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, იმ ევროკავშირთან, რომელიც ხვალ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერს!

აღარაფერს ვამბობ სხვა „სიახლეებზე“, რაც საქართველოს ამ სამყაროსგან ელოდება!!!

და ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოში არის ქოც-ნაცური ხელისუფლება, კარიერის მომლოდინე თამაშგარე დარჩენილი პოლიტიკოსები და რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, საზოგადოების ზომბირებული ნაწილი, რომელიც მხარს უჭერს და წინასწარ ზეიმობს 27 ივნისს(?!)!!! მე არ მაქვს შეკითხვა ქოცებთან და ნაცებთან; არ მაქვს შეკითხვა ერთმანეთის ჭამით გართულ ოპოზიციასთან;

მე ვეკითხები საზოგადოების მოზეიმე ნაწილს: არ გრცხვენიათ?!!! ან მერე არ შეგრცხვებათ?!!! ჩვენ მალე გარეთ გამოვალთ, და თქვენ ვისთან აპირებთ დგომას – ამათთან?! კარგად დაფიქრდით და სანამ დროა, თქვენი „განათლებული“ და ათასი სისულელით გამოტენილი თავები გაანძრიეთ! მერე გვიან იქნება! თქვენთვის იქნება გვიან!!“ – წერს სარიშვილი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილი ნაწამებ ადამიანებს სოლიდარობას უცხადებს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდზე წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღეზე სტატუსს აქვეყნებს:

„საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის დღე აღინიშნება. დღეს ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ იმ ადამიანებს, ვინც ეს უსასტიკესი და ბარბაროსული დანაშაული საკუთარ თავზე გამოსცადა. ამავე დროს, საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რა ვითარებაში ყალიბდება ადამიანში სისასტიკე? როგორ აღმოვფხვრათ საბოლოოდ პირობები, რომლებიც ასევე გარემოებათა მსხვერპლს, ადამიანთა შორის სულიერად ყველაზე უსუსურს – მოძალადეს წარმოშობს? ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, გარდავქმნათ ჩვენი თანაცხოვრება ისე, რომ არავის გაუჩნდეს მსგავსი მისწრაფებები. უმთავრესი, რამაც შეიძლება სამუდამოდ ისტორიად აქციოს წამების პრაქტიკა, არის თითოეული ჩვენგანის ნება და ფხიზელი პოზიცია, მაღალი სამოქალაქო ღირსება, რომელიც ადამიანის თავისუფლებას ხელშეუხებელ და უზენაეს ფასეულობად აღიარებს“. – წერს მარგველაშვილი. (ნიუპოსტი)

## „ნაციონალები“ ძალაუფლებისთვის ყველაფერზე წამსვლელები არიან“



„გლობალური კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ნანა დევდარიანი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დესტრუქციული ნაბიჯების გადადგმას არ გამორიცხავს:

„შეატყობდით „ნაციონალებს“, რომ კარგ ხასიათზე ვერ არიან, რადგან თითქმის ხელისუფლებაში 10-წლიანი ყოფნის შემდეგ, არჩევნებში აჩვენეს ძალიან ცუდი შედეგი, რომელიც კლებისკენ წავა. მათი ხელისუფლებაში დაბრუნების რეალური შანსი ძალიან დაბალია და ძალაუფლებისთვის ყველაფერზე წამსვლელები არიან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დესტრუქციული ნაბიჯები გადადგან. მაგალითად, ვრცელდება ხმები, რომ აპირებენ მაიდანის მსგავსს. ამ ხმებს კვებავს სააკაშვილის განცხადებებიც. უკრაინაში მოვლენების ეპიცენტრშია და ხანდახან განცხადებებს აკეთებს, – ჩვენ დავბრუნდებით, ისევ თბილისიდან დაიწყება საქართველოს აღორძინება და ა.შ. მის მომხრეებშიც ეს ილუზიას აჩენს. ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ სახეებმა განაცხადეს, რომ შემოდგომაზე ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში და ხალხის გვერდით დადგებიან. როგორც ჩანს, მათ ხალხის განწყობა არ იციან. თუ ხალხი ქუჩაში გამოვა, მათ კონკრეტული მოთხოვნა ხელისუფლების მიმართ ექნებათ და მაინტერესებს, ამ ხალხს რომელი „ნაციონალი“ დაუდგება გვერდით იმიტომ, რომ კაფეში ველარ შედიან და არ დარჩა ადგილი, სადაც ვინმე გამწარებული ადამიანი არ შეეფეთებათ. ამიტომ მათი ქუჩაში გასვლა დესტაბილიზაციის წყარო იქნება, ეს არის ადამიანის ნერვებზე თამაში. არ ვურჩევდი, ქუჩაში გამოსული ხალხის გვერდით დადგომას. ეს კარგით არაფრით დამთავრდება“, – განაცხადა დევდარიანმა. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## იუნა შაფათავამ ეროტიკული ვებპორტალი შექმნა



ვებპორტალზე განთავსდება როგორც ვიდეომასალა, ასევე ინტერვიუ, ფოტოალბომები, ინტერაქტივი მომხმარებელთან, დღიურები და ა.შ.

ეს იქნება პორტალი, რომელიც ქალის ნააზრევით ეროტიკას მოგვაწოდებს. იუნა შაფათავას განცხადებით, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ‘კამელია“ წლის მეორე ნახევარში ჩაიტვირთება.

ერთი დაზუსტება: ‘კამელია“ განკუთვნილი იქნება მხოლოდ 18+ მომხმარებელზე, იქნება ფასიანი ვებგვერდი, სალიცენზიო პირობების ძალიან მკაცრი დაცვით.

– ‘მე მიყვარს ჩაშაქრული ყურძენი, რადგან მას არ აქვს გემო. მე მიყვარს კამელიები, რადგან მათ არ აქვთ სუნი. მე მიყვარს მდიდარი მამაკაცები, რადგან მათ არ აქვთ გული“. ‘ქალი კამელიებით“, ა. დიუმა უმცროსი, – განაცხადა იუნა შაფათავამ ‘კამელიას“ დაბადების დღეზე და დასძინა, რომ ‘ფულს არ აქვს სუნი“ – პროექტი კომერციულია და მოგების მიღებაზეა გათვლილი, ეროტიკის და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების მაქსიმალური ესთეტიზაციით...

*pia.ge*

## მერსი სულხანიშვილი შეყვარებულია



ტელეწამყვანი მერსი სულხანიშვილი ზაფხულს სად და როგორ გაატარებს, ჯერ არ დაუგეგმავს. მხოლოდ ის იცის, რომ მაყურებელს წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი ელის.

– სად გავატარებ ზაფხულს, ჯერ არ ვიცი. გადაცემებს უკვე ბათუმიდან წავიყვან და მაყურებელს უამრავი სიურპრიზი ელოდება, საინტერესო ამბებს შემოგთავაზებთ.

აუცილებლად უნდა უყუროთ ‘პროფილს“. ერთ გადაცემაში სხვადასხვა იმიჯით წარვდგები. ფილმზეც ვისაუბრებთ, რომელშიც ჩემი დებიუტი შედგა. პირად ცხოვრებაში მშვიდობაა, ყველაფერი კარგად არის. მე სულ შეყვარებული ვარ...

*life.mediamall.ge*





## ორსული ლელა მებურიშვილი ამერიკაში ისვენებს

ორსული ლელა მებურიშვილი მეუღლესთან, ბაჩო საგანელიძესთან ერთად, ამერიკაში ისვენებს. ფოტოები მან სოციალურ ქსელში გააზიარა. ლელასთან და ბაჩოსთან ერთად ისვენებენ კალათბურთელი თორნიკე შენგელია და მისი ორსული მეუღლეც.

*primetimenews.ge*



## 3-ლარიანი ეკლერი წაიღოს, ესიამოვნებათ... ქართველი მუსიკოსი მაია ფანჯიკიძეს

ქართველი ალტისტი გიორგი ცაგარელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრს მაია ფანჯიკიძეს ,,ფეისბუკის“ გვერდიდან სკანდალური ტექსტით მიმართავს:

– მაია ფანჯიკიძეს უთხარით, თბილისში რომ 3-ლარიანი ეკლერებით დახვდა საფრანგეთის პრეზიდენტს, ეგენი გაახვიოს და წაიღოს ხვალ. შალახოს რომ ჩართავენ, ესიამოვნებათ! – წერს გიორგი ცაგარელი გიორგი ცაგარელი 28 წლის ცნობილი ქართველი მუსიკოსია. ცაგარელმა 24 ივნისს ნიკოლოზ რაჭველთან ერთად რუსთაველის თეატრში ალტისა და ფორტეპიანოსთვის გია ყანჩელის ოცი მინიატურა შეასრულა, რომელიც კომპოზიტორმა მათ მიუძღვნა.

*newposts.ge*

## თამთა ჭელიძე კლუბებში სიმღერას აპირებს: ,,მე ვთვლი, რომ ახლა თინეიჯერებზე უნდა იმუშაო“



დიდი ხნის პაუზის შემდეგ მომღერალი თამთა ჭელიძე სცენაზე დაბრუნებას აპირებს. ახლა ორი ახალი სიმღერა აქვს ჩაწერილი, ცოტა ხანში კი კლუბური ალბომის გამოშვებას აპირებს. გათვლა თინეიჯერებზე აქვს და შეიძლება ცოტა ხანში თავისი ახალი ტრეკებით თამთა სხვადასხვა ქართულ კლუბებში ვიხილოთ.

თამთა ჭელიძე:

– ყველა სიმღერა თინეიჯერებისთვის გაკეთდება. მე ვთვლი, რომ ახლა თინეიჯერებზე უნდა იმუშაო. როგორი მუსიკაც მათ მოსწონთ ისეთი უნდა იმღერო. მსოფლიოში ყველა მომღერალს უკვე თინეიჯერებზე აქვს გათლა. თუ შენი პროდუქციის გაყიდვა გინდა, აუცილებლად იმ ხალხზე უნდა გათვალო, ვინც მას ყიდულობს. ამ პროექტზე გიორგი თორაძესთან და ბორიკო შხიანთან ერთად ვმუშაობ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ყველა ტრეკს ესენი გააკეთებენ. ამ ალბომს რომ დავასრულებ და გამოვა, დარწმუნებული ვარ, ყველა კლუბის მფლობელს მოუნდება.

*primetimenews.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი დაბადების დღეს მეუღლესთან ერთად ატარებს



ნანუკა ჟორჟოლიანი 26 ივნისს იუბილარია. ჟურნალისტი 35 წლის გახდა. ნანუკა ბოლო რამდენიმე დღე ლონდონში ისვენებდა და ქვეყანა საკუთარ დაბადების დღეს დატოვა.

‘ფეისბუკზე“ წერდა, რომ 35 წლის ჰაერში გახდა და მეუღლესთან გაემგზავრა.

– გავიღვიძე, გამახსენდა, რომ იმ ასაკში შევედი, რომელსაც ძალიან ველოდებოდი. შევედი ‘ფბ“ და წავიკითხე 2038 მილოცვა, შეიძლება მეტიც იყო, ეს ბოლო ციფრად მაჩვენა. შევეცადე, ყველასთვის მიმეწერა მადლობა და უცებ გავიგონე მისი ხმაც. მკითხა, რომელ ყავას დავლევდი, გამახსენდა, რომ ჩემს თავს საჩუქარი გავუკეთე, ირაკლისთან ჩამოვედი. ხო, მთავარი. რამდენი თბილი სიტყვა მომწერეთ ინბოქსში. მადლობა თქვენ დიდი. გულწრფელად მიყვარხართ“.

*reitingi.ge*

## რას ფიქრობენ ქართველი მომღერლები თამარ ივერის გარშემო ატეხილ სკანდალზე



ოპერის მომღერალ თამარ ივერს როგორც ცნობილია, ჰომოფობიური განცხადების გამო ევროპის რამდენიმე ოპერაში სიმღერა აუკრძალეს. ერთი წლის წინათ მომღერალმა საკუთარ ‘ფეისბუკზე“ გეები ‘ფეკალურ მასებს“ შეადარა. მოგვიანებით თამარ ივერმა განმარტება გააკეთა, თქვა, რომ მისი ‘ფეისბუკის“ გვერდზე ეს სტატუსი მეუღლემ დაწერა. თუმცა ამ განცხადებით მისი პრობლემა ვერ მოგვარდა....

ლაშა ღლონტი:



– ჩემი აზრით, ყველა ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის უფლება. ისევე როგორც ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება. ყველას როგორც უნდა, ისე ცხოვრობს და ამის გამო არავინ არ უნდა დაისაჯოს. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა იმასაც აქვს, აზრის გამოთქმა რა ფორმით ხდება.

მან თავისი აზრი გამოთქვა და თუ ამით ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა, არსებობს სასამართლო და იმან უნდა გადაწყვიტოს მორალური ზიანის საკითხი და არა თეატრმა. თუმცა არ ვიცი, წესდებასა და ხელშეკრულების პირობებში რა წერია.

მოკლედ, რაც არ ვიცი, ვერ გიპასუხებთ. ერთია, რომ სამართალი ორმხრივი უნდა იყოს. ოპერა არის ნიჭის არენა და არა ინტრიგების.



სოფო ბედია:

– მე ერთი რამ ვიცი, რომ ეს ქალბატონი ფანტასტიკური მომღერალია და მისი პირადი მოსაზრება მისი მოსაზრებაა, სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მასწავლებელი:
– ბავშვებო, დღეს უღლება უნდა ვისწავლოთ. ავიღოთ, მაგალითად, „მღერა“... აბა, კოტე, დავუშვათ, შენ მღერი. როგორ იტყვი ამას?
– მე ვმღერი.
– მართალია. და თუ მღერის შენი დაიკო, ამ შემთხვევაში რას იტყვი?
– ხმა ჩაიკმინდე, შე დებილო!..

*****

ბიჭმა გოგო გაიცნო. გაისეირნ-გამოისეირნეს, აქეთური, იქეთური. ბოლოს ლოგიკური კითხვაც გაისმა ბიჭისგან:
– სახლში გამომყვები, იქ გავაგრძელოთ...
– იცი, რაშია საქმე? მოდი, პირდაპირ გეტყვი: შეიძლება არც ისე თანამედროვე ვარ, როგორც სხვები, მაგრამ ჩემი პრინციპები მაქვს და გადავწყვიტე, იქამდე არ დავწვე კაცთან, სანამ არ დავრწმუნდები, რომ მართლა მიყვარს.
– ეჰ, რას ვიზამ... ალბათ, რთულია ასე ცხოვრება.
– არც ისე, მაგრამ აი, ჩემი ქმარი კი გიჟს ჰგავს ხოლმე...

*****

სტუდენტი ლექციებზე რეგულარულად აგვიანებს. ერთხელაც პროფესორმა ველარ მოითმინა და გაღიზიანებულმა ჰკითხა:
– ახალგაზრდა, თქვენ ჯარში თუ მსახურობდით?
– დიახ, პატივცემულო.
– მერე რას გეუბნებოდათ ხოლმე სერჟანტი?!
– რას და – მოგესალმებით, ბატონო ლეიტენანტო...

*****

ატომურ ელექტროსადგურზე ექსკურსიაა. უზარმაზარი კარის მიღმა სპეციალურ ფორმებში ჩაცმული ადამიანები ჩანან, რომელთაც ხელში პატარა სინჯარა უკავიათ. ერთ-ერთი დამთვალიერებელი გიდს ეკითხება:
– უკაცრავად, ახლა რომ ეს სინჯარა ხელიდან გაუვარდეთ, რა იქნება?
– პრინციპში, არაფერი... 115 კილომეტრის რადიუსში!..

*****

– გითქვამს ცოლისთვის ოდესმე, რას ფიქრობ მასზე?
– კი, როგორ არა! გინდა, გაჩვენო ჭრილობა მკერდის არეში?

*****



ქმარი სამსახურიდან სახეალეწილი დაბრუნდა, ტანსაცმელი ძლივს გამოიცვალა, სამზარეულოში დაჯდა და ვახშმის უმადოდ კიკნა დაიწყო. ცოლმა გადაწყვიტა, ახალი ამბავი დაძინებამდე ეცნობებინა და ქმარი გაეხარებინა:
– ძვირფასო! ფეხმძიმედ ვარ!!!
– როგორ, შენც?!?!?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## რიანა მხოლოდ ვარცხნილობაზე ყოველდღიურად 3200 დოლარს ხარჯავს



როგორ ფიქრობთ, რა თანხა შეიძლება ყოველდღიურად დახარჯოს ადამიანმა თმის წესრიგში მოსაყვანად? „ჩვეულებრივი მოკვდავის“ შემთხვევაში, საუბარია რამდენიმე თეთრზე, რომელიც ფენის გამოყენების შემდეგ, ელექტროენერგიის დახარჯვისთვის დაიწერება. აი, რაც შეეხებათ „არაჩვეულებრივ მოკვდავებს“, ამ შემთხვევაში, ცნობილ მომღერალ რიჰანას, მხოლოდ ვარცხნილობაზე ის ყოველდღე 3200 აშშ დოლარს ხარჯავს.

მომღერლის სტილისტი ამბობს: „რიჰანას უყვარს, ყველაფერში პირველი იყოს, მაგრამ ეს დიდი ფული ღირს. იგი კვირაში რამდენჯერმე ჩნდება პუბლიკის წინაშე და, ბუნებრივია, სრულყოფილად უნდა გამოიყურებოდეს“...

ვერაფერს იტყვი, დღეში მხოლოდ თმის დაყენებაზე 3200 დოლარს რომ გაისვრი, ტანსაცმელზე დახარჯული ფულის მოცულობა ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება?..

**zvezdi.ru**

## რაც უფრო მოკლეა ტანსაცმელი, მით უფრო გრძელია სიცოცხლე



ეს ოხერი, კიდევ გადარევა უნდათ ქალებს, ზოგ-ზოგიერთები ისედაც ლამის შიშვლები დადიან ქუჩაში?! მაგრამ იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორთან ყოფილა დაკავშირებული სამოსის სიგრძე-სიგანე, თქვენთვის რომ არ მოგვეთხრო, არაფრით შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, მამაკაცებს, უფრო უკეთესი შანსი მოგვეცემა, „თვალს წყალი დავალევინოთ“.

მოკლედ, იმის თქმა სურთ ბრიტანელ მეცნიერებს, რომ სამოსი, რომელსაც მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ატარებს, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ახდენს გავლენას. კერძოდ, რაც უფრო ღია და მოკლეა ტანსაცმელი, მით უფრო იზრდება შანსი, რომ მისმა პატრონმა უფრო დიდხანს იცოცხლოს.



სპეციალისტების ეს უცნაური მოსაზრება ექსპერიმენტების დახმარებითაა გამყარებული, რომელშიც დაახლოებით ხუთი ათასმა ქალმა მიიღო მონაწილეობა.

კვლევის ავტორების თქმით, როგორც წესი, ტანსაცმელზე ფხვნილისა და სხვა სარეცხი საშუალებების ქიმიური ნივთიერებები რჩება. ოფლთან ურთიერთქმედების შედეგად, ეს ნივთიერებები კანის მიერ შეიწოვება, რაც, ბუნებრივია, ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს და ზოგ შემთხვევაში, ონკოლოგიური დაავადებების პროვოცირებასაც კი ახდენს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ, რაც უფრო მოკლე და ღიაა ტანსაცმელი, მით უფრო მცირდება რისკი, მავნე ქიმიური ნივთიერებები მთელ სხეულზე გავრცელდეს.

და კიდევ ერთი – კვლევის ავტორები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ რაც უფრო გამომწვევად აცვია ქალს, მით უფრო იქცევს მამაკაცის ყურადღებას და გათხოვების შანსიც იზრდება. მეცნიერებისთვის კი უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ დაოჯახებული ადამიანები, მარტოხოლებთან შედარებით, გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ.

**tainamira.ru**

## კატების მოყვარულები ტვინის კიბოს რისკის ჯგუფში შედიან



ისედაც არ გვიყვარდა კატები და ახლა მით უფრო შეგვეჯავრა. ისე, ვინც არ ეხება ამ ცხოველს, თავი ისედაც ქუდში აქვს, მაგრამ რაც შეეხებათ კატების მოყვარულებს, აი, მათ დაფიქრება ნამდვილად მართებთ. საქმე ისაა, რომ კატის კუჭში აღმოჩენილია პარაზიტები, რომლებიც უქმნიან კიდეც ადამიანს ტვინის კიბოს გაჩენის საშიშროებას.

პარაზიტები, რომლებიც ფრანგმა მეცნიერებმა კატებს აღმოუჩინეს, სავსებით შესაძლებელია, ადამიანის ორგანიზმში აღმოჩნდეს. ეტაპობრივად, ეს ფაქტი იწვევს მამაკაცებში ეჭვიანობისა და აგრესიულობის მატებას, ქალებში კი – ჰიპერსექსუალობას. თუმცა მოგვიანებით, ცვლილებები შიზოფრენიითა და ტვინის კიბოთი სრულდება.

რადგან ტვინზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმ სიახლეზეც გეტყვით რამდენიმე სიტყვას, რომლის ავტორებიც ამერიკელი მეცნიერები არიან. როგორც ირკვევა, მათ დაადგინეს, რომ ნევროლოგიური დაავადებებისგან ადამიანის თავის ტვინს მწვანე წიწაკა იცავს.

**woman.ru**

## მსოფლიოს რელიგიებში ყველაზე მეტად ქრისტიანობა იდევნება



– ნებისმიერ სხვა რელიგიურ სათვისტომოებთან შედარებით, ქრისტიანობა ყველაზე მეტად იდევნება და ქრისტიანები ყველაზე ხშირად ხდებიან დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლნი, – ზუსტად ასეთია ამერიკული ინსტიტუტის „პიუ ფორუმ ონ რელიგიონ ენდ ფაბლიკ ლაიფ“ კვლევის შედეგი.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, ქრისტიანების დისკრიმინაცია დარეგისტრირებულია მსოფლიოს 130 ქვეყანაში, მუსულმანების – 117-ში, იუდეველების – 75-ში, ხოლო ბუდისტების – 16 სახელმწიფოში.

გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური სათვისტომოების წინააღმდეგ ზეწოლის მაჩვენებელი სახელმწიფოებისა და საზოგადოების მხრიდან 23 ქვეყანაშია გაზრდილი (ძირითადად, შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე, საფრანგეთსა და სერბეთში). შემცირებულია მხოლოდ 12 ქვეყანაში, თუმცა რომლებში, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

საერთოდ არ არის შეცვლილი სურათი რელიგიების დევნის კუთხით მსოფლიოს 182 სახელმწიფოში.

გეტყვით იმასაც, რომ კვლევა მსოფლიოს 198 ქვეყანაში ჩატარდა, სადაც პლანეტის მოსახლეობის 99,5 პროცენტი ცხოვრობს.

მონაცემები მსოფლიოს ყველაზე იზოლირებული ქვეყნიდან – ჩრდილოეთ კორეიდან, რომელიც ქრისტიანების დევნის თვალსაზრისით ყველაზე სახიფათოდ მიიჩნევა, კვლევის ავტორებმა არ გაითვალისწინეს, რის მიზეზადაც შედეგების არასანდოობა დასახელდა.

დამატებით იმის თქმაც შეიძლება, რომ, როგორც ავსტრიული კათოლიკური საინფორმაციო სააგენტო „კათხვები“ განმარტავს, მსოფლიოს ყველაზე ტოლერანტულ სახელმწიფოებად კვლავაც რჩებიან: გერმანია, ავსტრია და შვეიცარია.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბოლო წლების მანძილზე დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, მთელ მსოფლიოში გაიზარდა. კერძოდ, პლანეტის დაახლოებით 7-მილიარდიანი მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც რეგულარულად ხდება დევნა რელიგიური მოტივების გამო. გარდა ამისა, დედამიწაზე მცხოვრები ყოველი მესამე მოქალაქე (დაახლოებით 2,2 მილიარდი) ცხოვრობს სახელმწიფოებში, სადაც 2006 წლიდან შესამჩნევად გაიზარდა რელიგიური რეპრესიების მაჩვენებლები.

**word4you.ru**

## მეცნიერებმა მაღალი წნევის საწინააღმდეგო კიდევ ერთ ბუნებრივ საშუალებას მიაგნეს



პრინციპში, დიდი მიგნებაც არ სჭირდებოდა, რადგან უკვე ძალიან დიდი ხანია, ეს პროდუქტი უამრავი ადამიანის საყვარელი საჭმელია. ერთი კია, მაღალი წნევის საწინააღმდეგო თვისება მას სულ ახლახან აღმოუჩინეს.

როგორც ირკვევა, მეცნიერებმა კარტოფილში ნივთიერება კოკოამინს მიაგნეს, რომელიც მაღალი არტერიული წნევის დარეგულირებას უწყობს ხელს.

შესაძლოა, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობისთვის კვლავაც უცნობი დარჩენილიყო, რომ არა ერთი შემთხვევითი ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც გენური ინჟინერიით გამოყვანილი კარტოფილის თვისებების შემოწმება გახლდათ – როცა მეცნიერებმა პროდუქტში კოკოამინს მიაგნეს, მათ ტრადიციული ხერხებით მოყვანილი კარტოფილიც შეამოწმეს და კმაყოფილებიც დარჩნენ, რადგან კოკოამინი გენური ინჟინერიის შედეგი სულაც არ ყოფილა.

სხვათა შორის, ის, რომ აღნიშნულ ნივთიერებას არაერთი ჩინური სამკურნალო მცენარე შეიცავდა, დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, მაგრამ კარტოფილზე კი დღემდე არავინ არაფერი იცოდა.

და კიდევ ერთი – სპეციალისტების განმარტებით, ჩიპსების მოყვარულებს სასიხარულოდ ნამდვილად არ აქვთ საქმე, რადგან ამ პროდუქტის მომზადების თავისებურებებიდან გამომდინარე, კოკოამინი, ფაქტობრივად, უკვალოდ ქრება.

**myjane.ru**

## რატომ არ არის ხილის წვენები სასარგებლო?



ამერიკელი დიეტოლოგები კატეგორიულად არ ეთანხმებიან რჩევებს, რომ ხილის წვენები ადამიანებმა ყოველდღე დალიონ. მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ხილის წვენების ხშირი მოხმარება დიაბეტის განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. ამ მხრივ, განსაკუთრებული საფრთხე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ექმნებათ.

ასეთ დასკვნამდე ამერიკელი დიეტოლოგები მას შემდეგ მივიდნენ, რაც 3 ათასამდე მშვენიერი სქესის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს.

შედეგი ასეთია: მათ, ვინც ხილის წვენს დღეში ერთჯერ ან მეტჯერ მოიხმარენ, მეორე ტიპის დიაბეტის გაჩენის ალბათობა 18 პროცენტით ეზრდებათ, ხოლო ვინც წვენის სმის ნაცვლად, ხილს ჭამს, პირიქით, დიაბეტის არ უნდა ეშინოდეს.

ამერიკელი მეცნიერები კვების რაციონიდან ხილის წვენების საერთოდ ამოღებას არ მოითხოვენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ პროდუქტის მოხმარება აუცილებლად უნდა შეიზღუდოს.

**dr20.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ზღაპარი „... ქოშები“
2. დედამიწის მიზიდულობა
3. დიუმა. „დედოფალი ...“
4. კანადის მკვიდრი მოსახლე
5. „წყნარი დონი“ ავტორი
6. ნიშნავს ცივს
7. ზურიკელას ძაღლი
8. ოპერა „ევგენი ...“
9. დეკორატიული ბალახი
10. მხ/ფ „... და მისი ძმები“
11. მწერალი აკაკი ...
12. ბრძენი გოგონა რუსულ ზღაპრებში
13. ქალაქი კანადაში
14. ნაჭრის თოჯინა
15. მხატვარი კლოდ ...
16. მწერალი ჟორჟ ...
17. მხატვარი ედგარ ...
18. ნავსადგური, ანუ ...
19. ნიანგის სახეობა
20. სახელმწიფო ევროპაში
21. სურდო
22. ღვინის ღმერთი
23. ... და ობელიქსი
24. როცა გშია ზაქარია, ... მჭადიც შაქარია
25. ტროპიკული ნაყოფი
26. დონ კიხოტის ავტორი
27. მომღერალი ხულიო ...
28. შხამიანი გველი
29. აზროვნების ორგანო
30. უძველესი საბერძნეთი
31. მსახიობი სტივენ ...
32. წიწვოვანი მცენარე
33. განთიადი
34. ბრონტე. „ჯეინ ...“
35. მიწაში დაფლული ფული
36. ხერხემლის ძვალი
37. რუსი მეიგავე
38. ორგანო მუცლის ღრუში
39. ბედი
40. სისხლისმსმელი მწერი
41. ალბანეთის დედაქალაქი
42. მოჭადრაკე ქეთევან ...
43. კალათბურთელი დენის ...
44. ზრდადაუსრულებელი ქათამი
45. მყარი ცხიმი
46. პორტი საფრანგეთში
47. მისი დედაქალაქია ბუქარესტი
48. გაზაფხულის თვე
49. წიწილებიანი დედალი
50. ეგზოტიკური ფრინველი
51. იტალიელი კომპოზიტორი
52. ... ამდგარსა კურდღელსა
53. ქალის შიდა სამოსი
54. მსახ. ... ლი ჯონსი
55. ძლიერი ქარი
56. მწვანილის შეკვრა
57. დასახლება ბათუმის საზღვრებში
58. მწერალი ... ჩუკოვსკი
59. დიზაინერი ... კლაინი
60. „... კარენინა“
61. ბურთად შეკრული თოვლი
62. რეჟისორი შოთა ...
63. მომღერალი ლედი ...
64. კარგად მორთული ცხენი
65. მოგზაური ნიკოლოზ ...
66. ქალის პირბადე
67. გურული მრავალხმიანი სიმღერა
68. მსახიობი ბრიუს ...
69. ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში
70. გოგოლის მოთხრობა
71. ჰოლანდიელი მხატვარი
72. „მე, ბებია, ილიკო და ...“
73. სვიფტის გოლიათი
74. მსახიობი ... მასარი
75. გადასახდელზედიანი ეტლი
76. ... მოგივა დავითაო
77. მწერალი ჟიულ ...
78. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
79. სიმინდის ფქვილის კვერი
80. გაზაფხულის თვე
81. მომღერალი კაილი ...
82. ძვ. რომაელი ორატორი
83. კაციჭამია
84. თხილის გარსი
85. ესკიმოსების ნავი
86. მშვილდით სასროლი ჯოხი
87. ნივრების ასხმა
88. ჰარი პოტერის ავტორი
89. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
90. მიმიკის უქონლობა
91. მერკურის ძველი სახელწ.
92. ზლოტის მეასედი
93. რას დებს ქათამი
94. ლენონის ქვრივი
95. სინდისი
96. შხამიანი გველი
97. მოგზაური ... ჰეიერდალი
98. მსახიობი სილვესტერ ...
99. ქართული საბავშვო ჟურნალი
100. მწერალი ... კლარკი
101. შინაგანი „მე“
102. ტროპიკული ნაყოფი
103. ხის ჯამი
104. სათავსო ფუნდამენტში
105. „ქილილა და ...“
106. ქალაქი აშშ-ში
107. აკვნის გადასაფარი ქსოვილი
108. უძველესი კოლხეთი
109. ზამბახი
110. მტაცებელი თევზი ამაზონში
111. მოდელი ... კროუფორდი
112. მსახიობი სტივ ...
113. ჰუნების ბელადი
114. ფოლგა
115. მსახიობი ... ფაროუ
116. ბილიარდის ჯოხი
117. აივენჰოს სატრფო
118. კავშირი, გაერთიანება
119. რეჟისორი კლოდ ...
120. რეპტილია
121. მსახიობი ... გარბო
122. ლიბიის დედაქალაქი
123. ქორბუდა ცხოველი
124. ორელექტროდიანი მილაკი
125. მოგებული პარტია ნარდში
126. ბესიკი. „... ტატანო“
127. ქრთამი ... ანათებს
128. მომღერალი ... ხალვაში
129. ცხიმოვანი სიმსივნე
130. კურორტი ხაშურთან
131. ... ბურთი და მოედანი
132. ბეწვი, ბალანი
133. გვარის უფროსი აღმოსავლეთის ქვეყნებში
134. წამლების მაღაზია
135. „შენ ... ვენახი“
136. ცხიმის კვალი ქსოვილზე
137. გრაფის მეუღლე
138. პურის სოკო
139. ...-ვეგასი
140. ბრძოლის საშუალებები ზოგადად
141. ერთაოზის მამა
142. ყვავილი

პასუხები: 1. ბაბაჯანას; 2. გრავიტაცია; 3. მარგო; 4. ესკიმოსი; 5. შოლოხოვი; 6. კრიო; 7. მურადა; 8. ონეგინი; 9. კოინდარი; 10. კორო; 11. ბელიაშვილი; 12. ვასილისა; 13. ვანკუვერი; 14. ტიკინა; 15. მონე; 16. სანდი; 17. დეგა; 18. ნავსაყუდელი; 19. ალიგატორი; 20. იტალია; 21. რინიტი; 22. დიონისე; 23. ასტერიქსი; 24. ცივი; 25. ანანასი; 26. სერვანტესი; 27. იგლესიასი; 28. გველგესლა; 29. ტვინი; 30. ელადა; 31. სიგალი; 32. ლარიქსი; 33. ალიონი; 34. ეარი; 35. განძი; 36. მალა; 37. კრილოვი; 38. ელენთა; 39. სვე; 40. მოსკიტი; 41. ტირანა; 42. არახამია; 43. როდმანი; 44. ვარია; 45. ქონი; 46. მარსელი; 47. რუმინეთი; 48. მარტი; 49. კრუხი; 50. ფლამინგო; 51. როსინი; 52. ადრე; 53. ლიფი; 54. ტომი; 55. გრიგალი; 56. კონა; 57. კვარიათი; 58. კორნეი; 59. კელვინ; 60. ანა; 61. გუნდა; 62. მანაგაძე; 63. გაგა; 64. იორღა; 65. მიკლუხო-მაკლაი; 66. მანდილი; 67. კრიმანჭული; 68. ლი; 69. ანანური; 70. „ვიი“; 71. რემბრანდტი; 72. ილარიონი; 73. გულივერი; 74. ლეა; 75. ლანდო; 76. რაც; 77. ვერნი; 78. ვან; 79. მჭადი; 80. მაისი; 81. მინოუგი; 82. ციცერონი; 83. კანიბალი; 84. ნაჭუჭი; 85. უმიაკი; 86. ისარი; 87. გალა; 88. როულინგი; 89. რეიგანი; 90. ამიმია; 91. ოტარიდი; 92. გროში; 93. კვერცხი; 94. ონო; 95. ნამუსი; 96. ასპიტი; 97. ტურ; 98. სტალონე; 99. დილა; 100. არტურ; 101. ეგო; 102. ბანანი; 103. გობი; 104. სარდაფი; 105. დამანა; 106. ბალტიმორი; 107. არტახი; 108. აია; 109. ირისი; 110. პირანია; 111. სინდი; 112. მარტინი; 113. ატილა; 114. კილიტა; 115. მია; 116. კიი; 117. როენა; 118. ლიგა; 119. ლელუში; 120. კუ; 121. გრეტა; 122. ტრიპოლი; 123. ირემი; 124. დიოდი; 125. ოინი; 126. ტანო; 127. ჯოჯოხეთს; 128. სოფო; 129. თია; 130. სურამი; 131. ჰა; 132. თმა; 133. შეიხი; 134. აფთიაქი; 135. ხარ; 136. ლაქა; 137. გრაფინია; 138. ობი; 139. ლას; 140. იარაღი; 141. მიზანა; 142. ია. იკითხება: ჯიხვი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## აკრობატმა საჰაერო ბუშტებს შორის გაჭიმულ თოკზე გაიარა



წარმოუდგენელი სანახაობის მომსწრეები გახდნენ ჩინელები – იქაურმა აკრობატმა, 27 წლის საიმაიტი აიშანმა 30 მეტრის სიმაღლეზე აფრენილ საჰაერო ბუშტებს შორის გაჭიმულ 15-მეტრიან თოკზე გაიარა.

აღნიშნული მანძილის დაძლევა აკრობატმა დაახლოებით 5 წუთში მოახერხა და მაყურებლების დიდი ოვაციებიც დაიმსახურა.

საკუთარი შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა ჩინელმა აკრობატმა მაშინვე რეკორდის გაუმჯობესება მოინდომა და ახლა 100 მეტრის სიმაღლეზე აფრენილ საჰაერო ბუშტებს შორის სცადა იმავე მანძილის დაფარვა, თუმცა შუა გზაში წონასწორობა ველარ დაიცვა. საბედნიეროდ, ის არ დაშავებულა, რადგან თოკისთვის ხელის ჩავლება მოასწრო.

სულ მალე ჩინელი ექსტრემალი თოკზე კვლავ აცოცდა და დარჩენილი მანძილი უკვე პრობლემების გარეშე გაიარა, თუმცა მცდელობა მას აღარ ჩაეთვალა.

**kp.ru**

## ალკოჰოლი, რომლის დალევის შემდეგაც „პახმელია“ არავის ექნება



ასეთ ალკოჰოლს, ალბათ, ყველა ინატრებდა, კაციცა და ქალიც. აბა, გაიხსენეთ, ქეიფის მეორე დღეს მურტალ „პახმელიაზე“ რომ ხარ, თავი სკდება, გული გარბის და სამსახურში ხარ წასასვლელი. არა, არსადაც რომ არ მიდიოდა, ნაბახუსევი მაინც საშინელი გასაძლებია.

ჰოდა, იმისთვის, რათა ასეთი უსიამოვნება ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს, სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა პუბლიკას ახალი სახეობის ალკოჰოლური სასმელი წარუდგინეს, რომელიც ნაბახუსევს არ იწვევს.

– დღესასწაული არასასიამოვნო შედეგების გარეშე, – აი, რაზე იზრუნეს კორეელებმა.

სიახლის საიდუმლოება, თურმე, სასმელის ჟანგბადით გაზავებაში იმალება, რომელიც კოქტეილში გარკვეული კონცენტრაციით ემატება.

სწორედ ჟანგბადია საჭირო ადამიანის ორგანიზმისთვის, რათა სპირტიან სასმელს მოერიოს და ნაბახუსევმა არ იმძლავროს.

ექსპერიმენტების ფარგლებში დამტკიცდა, რომ ჟანგბადდამატებული სასმელი არა მხოლოდ ნაბახუსევისგან ათავისუფლებს ადამიანს, არამედ გაცილებით სწრაფადაც აფხიზლებს.

სასმელის გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე უკვე დაწყებულია, თუმცა არ ზუსტდება არც მისი ფასი და არც მსოფლიოში გატანის სავარაუდო თარიღი.

**rutracker.org**

## ნარკოტიკულად სახიფათო საშუალებათა სიაში... საკვები შეიტანეს



კარგა ხნის წინ იყო, ყველი გააიგივეს ნარკოტიკთან, თითქოსდა, მიჩვევას იწვევსო. გაგვიკვირდა, კაცო, აბა, გაგონილა, ყველი ნარკოტიკად აღიაროს ვინმემ? გავიდა დრო და უფრო უარესად არ გაგვაკვირვეს? აიღეს და მთელი საკვები, თავის ყველიან, მუჟუჟ-ელარჯიან-აჯაფსანდალიანად ნარკოტიკულად სახიფათო საშუალებათა სიაში შეიტანეს.

– საკვებზე დამოკიდებულება გაცილებით საშიშია, ვიდრე ნებისმიერ სხვა საშუალებებზე, – ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.

კვლევის შედეგად მათ დაადგინეს, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს ერთხელაც კი არ გაჰკარებია, სიმპტომატიკას, რომელიც „აკრძალული ხილის“ მიღებას მოჰყვება, მაინც ნაცნობია. დამნაშავე კი ამაში შიმშილია.

– შიმშილის გრძნობასაც ზუსტად ისეთივე გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე, როგორც ნარკოტიკის მიღების სურვილს, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

მოკლედ, ყველანი ნარკომანები ვყოფილვართ, მაგრამ „განკურნების“ ხერხები, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არ არსებობს...

**medkarta.com**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**27 ივნისი:** შეიძლება დღეს კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვდეთ. დიდი ვაჟკაცობა და თავდაჯერებული გამომეტყველება დაგჭირდებათ, რომ კონფლიქტიდან დანაკარგის გარეშე გამოხვიდეთ.

**კურო 22.04-21.05**

**27 ივნისი:** იმას, რასაც დიდი ხანი მიელტვოდით და მიუწვდომელი იყო, დღეს ძალიან მიუახლოვდებით. მისი დაუფლების დიდი შანსი გაქვთ და ხელიდან არ გაუშვათ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**27 ივნისი:** შეგიძლიათ, დღეს მიღებულ ზეპირ ინფორმაციებს დიდი მნიშვნელობა არ მიაქციოთ, მაგრამ ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც წერილობით მიიღებთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**27 ივნისი:** დღეს თანამოსაუბრეს ყურადღებით მოუსმინეთ. შეიძლება შეფარულად, გადატანითი მნიშვნელობით ისეთი რამ გითხრათ, რაც თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**ლომი 23.07-22.08**

**27 ივნისი:** არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდეთ. თუ დღეისთვის რაღაც საქმე აუცილებლად გაქვთ დასამთავრებელი, ყველანაირად შეეცადეთ, დასრულების დრო გადაიტანოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**27 ივნისი:** ჩანაფიქრის ასასრულებლად მოქმედება დაიწყეთ, ტაქტიკის დეტალებს გზადაგზა მოიფიქრებთ. რჩევები თუ დაგჭირდებათ, ახლობლები არ დაგამადლიან.

**სასწორი 23.09-22.10**

**27 ივნისი:** მაქსიმალური სიდინჯე გმართებთ. შეიძლება თქვენდაუნებურად ისე იმოქმედოთ და ისეთები ილაპარაკოთ, რომ დასაცინი გახდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**27 ივნისი:** რაც გსურთ, დღეს იმაზე მეტი გექნებათ, ვიდრე გინდათ და გჭირდებათ. მიმოიხედეთ და იმას გაუნაწილეთ, ვინც იმსახურებს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**27 ივნისი:** არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდეთ და ბოლომდე გაუაზრებლად არ წახვიდეთ მიზნის მისაღწევად. შეიძლება მიზნამდე მიაღწიოთ, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღოთ. დადინჯდით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**27 ივნისი:** შეიძლება ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არცთუ ღირსეული მეთოდით იმოქმედოთ. ეს დამალული არ დარჩება. ასე რომ, ავტორიტეტს მოუფრთხილდით.

**მერწყული 20.01-18.02**

**27 ივნისი:** დიდი ალბათობით, ძალიან კარგი დღე იქნება. შეეცადეთ, ყველა საქმე დროულად დაასრულოთ და საღამო მხიარულებაში გაატაროთ. ამას ნამდვილად დაიმსახურებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**27 ივნისი:** შეეცადეთ, ნაკლებად ხელგაშლილი იყოთ. თქვენს გულუხვობას ბოროტად იყენებენ. რასაც გულით აკეთებთ, შეიძლება ვალდებულადაც კი გიქციონ.

## მადლობა უანგარო ქველმოქმედებისთვის!

დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ მომხდარი ინციდენტის შედეგად დაზარალებული 30 წლის მალხაზ მიქაცაძის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღემდე საკმაოდ მძიმეა. სწორედ ასეთ დროს დაუდგა მას გვერდით საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ქველმოქმედი **ილია ძოწენიძე**, რომელმაც მალხაზ მიქაცაძის პრობლემების შესახებ სრულიად შემთხვევით შეიტყო.

უანგარო ქველმოქმედი მალხაზ მიქაცაძეს დღემდე გვერდში უდგას, რისთვისაც ოჯახი მას უდიდეს მადლობას უხდის!

## პროდუქტები, რომელთა გამოც ზაფხულში სუქდებიან



ბევრს არ ხიბლავს ზაფხულობით გაზქურასთან დგომა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მზე მთელი სიმძლავრით აცხუნებს. შედეგად კი ამ ყველაფერს ის მოჰყვება, რომ ჯანსაღი საკვების ნაცვლად, ბევრი ბუტერბროდებს, გაზიან სასმელებს და სხვა მზა საკვებს ამჯობინებს.

მაინც, რომელი პროდუქტები არ უნდა მიიღოთ, რომ შემოდგომამდე ზედმეტი კილოგრამების გარეშე მიხვიდეთ? კითხვაზე პასუხს გამოცდილი დიეტოლოგები გვაძლევენ:



პირველ რიგში, უარი უნდა თქვათ ცხიმიან თევზზე, მწვადებზე, სხვადასხვა სტეიკზე და უბრალოდ, ხორცეულზე.

არა მხოლოდ ფიგურის, არამედ ზოგადად, ჯანმრთელობის ხათრით, რეკომენდებულია რაციონიდან ძეხვის ამოღება. ასევე, ყველის, რომლის ცხიმიანობა 40 პროცენტს აღემატება.

მავნებელია და კილოგრამების დაგროვებაში დაგეხმარებათ მაიონეზიანი სალათები და ბუნებრივია, თავად მაიონეზიც.

ნაყინი საყვარელი ნუგბარია როგორც ბავშვებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის, მაგრამ, თუკი გსურთ, რომ წონაში არ მოიმატოთ, ამ გემრიელ საკვებზეც მოგიწევთ უარის თქმა.

დაბოლოს: არ არის რეკომენდებული ბოთლებში ჩამოსხმული ცივი ჩაის, გაზიანი სასმელებისა და ლუდის დალევა.

ხომ იცით, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს და თუკი მსხვერპლი მხოლოდ ლუდი და ძეხვი იქნება, დიდად არ უნდა ინაღვლოთ. სამაგიეროდ, სხეულის სილამაზეს შეინარჩუნებთ.

**dr20.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტეს დედას ტყუპები შეეძინა. მამამ შვილი დაარიგა:

– სკოლის მასწავლებელს უთხარი, რომ ეს კვირა ვერ ივლი და აუხსენი, რატომაც.

მეორე დღეს სკოლიდან დაბრუნებულ კოტეს მამა ეკითხება:

– აბა, რა ქენი, რა გითხრა მასწავლებელმა?

– რა ვიცი, დამთანხმდა და ოჯახს შვილის შეძენაც მოულოცა.

მამა გაბრაზდა:

– რას ჰქვია, შვილის? რატომ არ უთხარი, რომ ტყუპები გაჩნდნენ?!

– კაცო, მეორე ბავშვი შემდეგი კვირისთვის შემოვინახე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.25